დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ტარიელ სივსივაძე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1.ირმა ტატიშვილი, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2.ქეთევან სადრაძე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი
3.შორენა ტყემალაძე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი
4.მარიამ მატიაშვილი-უცხო ენათა საგნობრივი ექსპერტი
5.ლია ციცქიშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6.ხათუნა მარკოზაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7.ნიკოლოზ ჩუბინიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8.ნონა გორგილაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9.ლია ნეფარიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10.მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	238146243

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი საგარეჯო
იურიდიული მისამართი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ბადიაური
ფაქტობრივი მისამართი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ბადიაური
საფოსტო ინდექსი	3800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	badiauri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 32 17 58

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	N830770 06/07
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	01-02 აგვისტო.2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ბადიაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ბადიაური

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ბადიაური

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის სკოლაში ავტორიზაციის ჯგუფის თავმჯდომარის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის და საბუნებისმეტყველო საგანთა ექსპერტის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 01 და 02 აგვისტოს. ვიზიტის დღის წესრიგი შეთანხმებული იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ვიზიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სკოლა სრულ მზადყოფნაში დაგვხვდა. ვიზიტმა საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. 11:30 საათიდან დაიწყო online შეხვედრები სკოლის კათედრების წარმომადგენლებსა და საგნობრივ ექსპერტებს შორის. ჩართვისას ტექნიკური სახის პრობლემები არ შეგვქმნია. დრო გამოყენებული იქნა მაქსიმალურად ეფექტიანად. ყველა კათედრასთან გასაუბრება განხორციელდა 01 აგვისტოს. გარკვეული სახის საკითხების დაზუსტებისათვის(ცალკეული ექსპერტების(მაგ.სპორტის)შემთხვევაში ასევე გამოყენებული იქნა 02 აგვისტო. ექსპერტთა ჩართვას ორგანიზებას უწევდა საბუნებისმეტყველო საგანთა ექსპერტი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება, ასევე, ადგილზე შესწავლილ იქნა სასწავლო რესურსები, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა დათვალიერა საგანმანათლებლო რესურსები ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის მიმარულებით. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი მუშაობდა სასკოლო დოკუმენტაციასთან, აზუსტებდა მნიშვნელოვან საკითხებს. ვიზიტის მთელი პროცესი წარიმართა კეთილგანწყობილ გარემოში.

ვიზიტის დასასრულს განხორციელდა შეხვედრა სკოლის კოლექტივთან. დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდათ ძირითადი მიგნებები სასკოლო დოკუმენტაციის, სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შეფასების, სკოლის თვალსაჩინოდ ძლიერი მხარის და იმ გამოსასწორებელი ხარვეზების შესახებ, რაც ადმინისტრაციული წარმოების წინასწარი სამუშაოების ჩატარებისას გამოიკვეთა. სკოლის მთლიან პერსონალში შესამჩნევი იყო მაღალი კულტურა განსხვავებული აზრის მიმღებლობასა და გაზიარებასთან დაკავშირებით. ამის თქმის საშუალებას იძლეოდა ის ფაქტიც, რომ აქცენტირებული სუსტი მხარეები სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან აღქმული იქნა როგორც მოტივაცია კონკრეტული მიმართულებით მეტი ძალისხმევის გატარების მიზნით. სკოლისადმი და საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართ მასწავლებელთა და

დირექციის ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ექსპერტთა დამოკიდებულება, რომ სკოლას გააჩნია რესურსი და მზაობა, მოკლე დროში აღმოფხვრას ნაკლოვანებები და იზრუნოს შემდგომი განვითარებისათვის.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის დოკუმენტაცია და არც კონკრეტული პირია(კოორდინატორი) განსაზღვრული ამ მიმართულებით, სკოლა წარმატებულად ახორციელებს ადაპტაციას არა მარტო ქართულენოვან, არამედ აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებთან დაკავშირებით. ამის ნათელი დადასტურება არის ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად იზრდება აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების. სკოლას უკვე ჩამოყალიბებული აქვს უცხოენოვანი მოსწავლეების ქართულ გარემოსთან ადაპტაციის და ინტეგრაციის კულტურა. ამ საკითხის თვალსაჩინო მტკიცებულება გახლავთ სკოლის მიერ განხორციელებული პროექტი(სამოქალაქო განათლების კლუბის თაოსნობით) „ჩემი საოცნებო ბიბლიოთეკა“, პარტნიორი ორგანიზაციაა USAID-ი, აღნიშნული ორგანიზაციის მიერ 2023 წლის მაისში გამართულ ბიზნესფორუმზე პროექტის პრეზენტაცია განახორციელა აზერბაიჯანულენოვანმა მოსწავლემ(რომელიც არაჩვეულებრივად ფლობს ქართულ ენას), პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილიყო ისეთი თანამედროვე ლიტერატურით, რომელიც აზერბაიჯანელ მოსწავლეებს და თემს გააცნობს ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას. პროექტი დაფინანსებული იქნა ადგილობრივი მეცენატის მიერ და შედეგად სკოლას აქვს თანამედროვე სამკითხველო დარბაზი. პროექტი მდგრადია, რაც ნიშნავს იმას, რომ ლიტერატურის შეძენა/გადმოცემა კვლავ მიმდინარეობს.

არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლა ახორციელებს სასკოლო პროექტს, რომლის მიზანი არის სკოლის ტერიტორიის გამოყენება საცდელი მეურნეობის მოწყობის მიზნით. ეს პროექტი გამოირჩევა სასკოლო საზოგადოების და თემის ფართო ჩართულობით. ამასთან ერთად აღსანიშნავია ადგილობრივი ბიზნესის დაინტერესება და ჩართულობა. სკოლამ გამოყო

ტერიტორია, რომელიც დამუშავებული იქნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით(თემის ჩართულობა), ადგილობრივი მეცენატის მიერ შეძენილი იქნა ჩანდლერის ჯიშის ნერგები, მისი გაშენება განხორციელდა მოსწავლეების და საბუნებისმეტყველო საგანთა კათედრის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კონსულტირებას და დახმარებას უწევდა ადგილობრივი აგრონომი(თემის ჩართულობა). ასეთი ინკლუზიის შედეგია ჩანდლერის ჯიშის კაკლის ხეივნის გაშენება(40 ძირი). პროექტი მდგრადია, გრძელდება ნერგების გაშენების პროცესი(შემოდგომაზე აქვთ დაგეგმილი ნაკვეთის გაფართოება), რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს სურთ მოყვანილი ნაყოფით სკოლაშივე დაამზადონ ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი პროდუქტი(ჩურჩხელა) და მოახდინონ მისი ნაწილის რეალიზება, ნაწილის კი-ქველმოქმედების მიმართულებით გადამისამართება. ეს პროექტი კავშირშია პროფესიულ განათლებასთანაც.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 330	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.
ინდიკატორი 1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 ნოემბრამდე შეიმუშაოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სტრატეგიულ გემას და ყოველწლიურ თვითშეფასებას....

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 ნოემბრამდე შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, შესაბამისი რესურსები.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით ა)მიმართოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს სკოლის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ბ)უზრუნველყოს შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დოკუმენტის მოპოვება
ინდიკატორი 3.4.1.7.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2023 წლის 01 დეკემბრამდე უზრუნველყოს მრჩეველთა საბჭოს შექმნა, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის.

სტანდარტი 4		
ინდიკატორი	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.1.2.	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	სკოლას მიეცა რჩევა, განაახლოს მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა და წევრებად განსაზღვროს ამჟამად მოქმედი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები.

ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეების უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვის გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა, ხელშეკრულება გააფორმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.1.2.	სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;	სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას ადაპტაციის დოკუმენტი და ასახოს ის პრაქტიკული გამოცდილება, რაც ამ მიმართულებითაა დაგროვებული

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი* დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.1.3.	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)	სასურველი იქნება, თუ კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება მეტად იქნება ჩართული. ამისათვის საჭიროა, აქტიურად განხორციელდეს მათი საჭიროებების გამოკვლევა და შედეგების გათვალისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი N2.1.1.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. თუმცა იკვეთება რიგი საკითხები, რომელიც ხელს უშლის სრული სურათის წარმოდგენას, მაგ, არ ჩანს მუშაობა საკითხებზე: 1. მიმართულება - კომპიუტერული ტექნოლოგიები □ მარტივი ელექტრონული მოწყობილობის გამართვა; □ რთული ელექტრონული მოწყობილობის (რობოტის) გამართვა; □ ციკლების გამოყენება; □ ალგორითმი და ალგორითმის შემუშავება; □ და სხვა 2. მიმართულება - ისტ: □ კომპიუტერული პროგრამებისთვის დამახასიათებელი მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისის ელემენტები; □ სხვადასხვა ტიპის ინტერფეისი; □ გრაფიკული ინტერფეისის გზამკვლევები;

		☐ Android-ისა და iOS-ის გზამკვლევები და მათი ძირითადი ელემენტები ☐ და სხვა 3. მიმართულება - ციფრული წიგნიერება: ☐ Office 365-ის პირადი ანგარიშის მართვა; ☐ პირადი ანგარიშის დაცვა; ☐ კონფიდენციალურობის დაცვა; ☐ პირადი ინფორმაციის დაცულად შენახვა, პაროლის შეცვლის პერიოდულობა, პაროლის სირთულე ☐ და სხვა სასურველია თითოეულ კლასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებით დაიფაროს სამივე მიმართულება შესაბამისი თემების/თემატური ბლოკების მიხედვით; სამიზნე ცნებები, თემები/ საკითხი/ საკითხები აღებულ იქნას მე-3 თაობის ესგ-დან, კერძოდ, კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი სტანდარტიდან ახალი სტანდარტის (გამოქვეყნებული 02.02.2022) მიხედვით; შესაძლებელია ერთი კომპლექსური დავალების იდეით დაიფაროს ორი სამიზნე ცნება შესაბამისი საკითხებით, მაგ

		საკითხზე „კონტენტის ინტერნეტში მოძიება, ცხრილის შედგენა (Microsoft Excel)“ მუშაობისას იფარება ორი სამიზნე ცნება ინფორმაცია (ცხრილები), როგორც მითითებული აქვს მასწავლებელს, 5 კლ) და ინტერნეტი (კერძოდ, საკითხი - ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება, მოძიებული ინფორმაციის დახარისხება და გამოყენება).
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, ქიმიისა და ბიოლოგიის ყველა თემისთვის შეიქმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც უნდა მიემართებოდეს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.
ინდიკატორი 2.2.1.5	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.	სასურველია სკოლამ გააძლიეროს საგანთა შორის ინტეგრაცია, დაგეგმონ ინტეგრირებული გაკვეთილები
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	2023/24 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის დამტკიცებამდე შეიქმნას მუსიკის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების სახით. სასურველია შეფასების რუბრიკას ახლდეს გრაფა კომენტარებისათვის.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისაგან გაზიარებული იქნა ამავე სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის პროცესში დახარვეზებული ინდიკატორების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და მიიჩნევს, რომ მათ შესრულებას საფრთხე არ ემუქრება. ინდიკატორები 1.1.1.1; 1.1.1.2; 1.1.1.4; 1.2.1.1; 3.6.3.1; 3.6.3.4; 3.6.3.5; 2.1.1.1. და 2.2.2.5 თავიდან შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შესაბამისობის გეგმის და სათანადო დამამტკიცებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ეს ინდიკატორები სრულად არის დაკმაყოფილებული, რის გამოც შეიცვალა შეფასება და გახდა „სრულად შესაბამისი“ ხოლო ინდიკატორები 1.2.1.2; 1.2.1.3; 1.2.1.4; 3.4.1.1. და 3.4.1.7 შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება იმაზე, რომ „მეტწილი შესაბამისობით“ შეფასებული ხუთი ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილება სკოლას შეუძლია ერთ კალენდარულ წელზე მოკლე ვადაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ვიზიტის პერიოდისათვის სკოლას არ ქონდა შემუშავებული სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი, ინფორმაცია აღნიშნული საკითხის შესახებ არც სხვა რომელიმე დოკუმენტში ფიქსირდებოდა, თუ არ ჩავთვლით 2022/23 სასწ.წლის სასკოლო გეგმას, რომლის მისიაც არ შეესაბამებოდა ზგემ-ს(მისისაში აღნიშნული იყო, რომ სკოლამ უნდა აღზარდოს განათლებული მორწმუნე ადამიანი), თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლას დაწყებული ჰქონდა დოკუმენტის შექმნაზე მუშაობა.დირექტორის ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტის(2023 წ. აპრილი) მიხედვით შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტის შექმნის მეთოდოლოგიისათვის და გეგმავდნენ აღნიშნული დოკუმენტის 2023/24 სასწ.წლის დასაწყისში დამტკიცებას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 25.04.2023-07.09.2023), რის თანახმადაც, სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნების დოკუმენტთან.**
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი არ იყო შემუშავებული ვიზიტის პერიოდში (თუ არ ჩავთვლით 2022/23 წლის სასკოლო გეგმას, სადაც მისიის არსი არასწორად არის გაგებული). **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 25.04.2023-07.09.2023), რის მიხედვითაც სკოლა საკუთარ თავს განსაზღვრავს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტის შექმნის შესახებ სამუშაო ჯგუფში განსაზღვრული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი(მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე, დირექციის წარმომადგენელი), რაც იძლევა საშუალებას, რომ ეს დოკუმენტი მიღებული იქნას ფართო კონსენსუსით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 25.04.2023-07.09.2023) და წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლას აქვს ვებ.გვერდი და ვიზიტის პერიოდში მივიღეთ დაპირება, რომ მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტის შექმნის მეთოდოლოგიის, ასევე, ამ დოკუმენტის პროექტი განთავსებული იქნება საჯარო სივრცეში და ხელმისაწვდომი იქნება ყველა პირისათვის აღნიშნული დოკუმენტის თაობაზე უკუკავშირის მიღების მიზნით, ხოლო დამტკიცების შემდეგ, მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებული იქნება ვებ.გვერდზე. **სკოლის მიერ შემუშავებული და მიღებული მისიის-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლის სახელწოდება-„სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა“- შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.სკოლის სატიტულო ფურცელი.

2.სსიპ საგარეჯოს მჯუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის წესდება

3.სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის პედსაბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის სხდომის ოქმი.

4.სკოლის ვებ.გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ბრძანებით სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან შექმნილია ჯგუფი სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით, რის თანახმადაც(ასევე, ვიზიტის დროს მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით) ირკვევა, რომ სკოლა მეთოდოლოგიის დოკუმენტს წარმოადგენს 2023/24 სასწ.წლის დასაწყისში, რის შემდეგაც დაიწყება მუშაობა სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის შექმნის მიზნით. სკოლა 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცებას გეგმავს მიმდინარე კალენდარული წლის ბოლოს(დაახ.ნოემბრისათვის). **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.09.2023-15.09.2023), რის მიხედვითაც სკოლის დირექტორის ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.**
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 22.05.2023-20.11.2023),**

რის მიხედვითაც დასტურდება, რომ დაწყებულია სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის პროექტის შემუშავების პროცესი, რომელიც დასრულდება ა.წ. ნოემბრის ბოლოს.
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2022/23 წლის სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რომელიც არის შაბლონური. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმა,მათი სამოქმედო გეგმაც არ ეფუძნება აღნიშნულ დოკუმენტს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 22.05.2023-30.11.2023), რის მიხედვითაც სამოქმედო გეგმა შემუშავებული იქნება ა.წ. ნოემბრის ბოლოსათვის.**
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის დოკუმენტში გაწერილი იყო გარკვეული სახის აქტივობები, მაგრამ არ იყო გაწერილი მისი შესრულების რესურსი ან მექანიზმი. ერთწლიანი გეგმა **არ** ეფუძნებოდა სტრატეგიულ გეგმას, რადგან სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული აღნიშნული დოკუმენტი. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი გეგმა შაბლონურ სახეს ატარებდა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 22.05.2023-20.11.2023), რის მიხედვითაც სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დაეფუძნება სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტს და იქნება თავსებადი მოქმედ სტანდარტთან.**
ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 11 სექტემბრის N2-45 ბრძანება სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

2.სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 15 სექტემბრის N2-55 ბრძანება სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, თუმცა განსაზღვრული ჰყავთ ჯგუფი ამ დოკუმენტის შექმნის მიზნით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.09.2023-15.09.2023), რის მიხედვითაც სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.აღნიშნული დოკუმენტი სკოლას არ აქვს. სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მიზნით. მეთოდოლოგიის დოკუმენტი კიდევაც რომ ქონდეთ, ამ ეტაპზე სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ვერ განხორციელდებოდა და არც სასკოლო საზოგადოებისაგან იქნებოდა რაიმე სახის უკუკავშირი. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ ამ ეტაპისათვის 1.2.2.2. ინდიკატორი შეფასებას არ ექვემდებარება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი, სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისობის დადგენაც ვერ ხერხდება სტრატეგიული განვითარების გეგმასთან(არ აქვთ), ასევე, იმის გამო, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის მონიტორინგის შედეგების საჯაროობა იქნას უზრუნველყოფილი, საჭიროა დროის გარკვეული პერიოდი(გეგმაში

გაწერილი აქტივობების შესრულების/მიმდინარეობის შესახებ ანგარიში იწერება სასწავლო ან კალენდარული წლის ბოლოს), ეს ინდიკატორი ამ ეტაპზე შეფასებას არ ექვემდებარება.

4.ასეთი შედეგები არ არსებობს, რადგან ჯერჯერობით გეგმა არ დაუმტკიცებიათ, თუმცა სკოლას აქვს მზაობა, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს შემდგომი განვითარებისათვის. ინდიკატორი 1.2.2.4. არ ფასდება ამ ეტაპისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 15 სექტემბრის N2-55 ბრძანება სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიის

დამტკიცების შესახებ

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, კათედრები(6 კათედრა). აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების არსებობის მტკიცებულებას წარმოადგენს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალები(სამეურვეო საბჭოს და პედსაბჭოსა ოქმები, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები, დირექტორის მ/შემსრულებლის მიერ გამოცემული ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტები და ამ აქტებით დამტკიცებული მარეგულირებელი ტიპის წესები, დირექცია - ადმინისტრაციის წევრების სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი(დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით). სკოლაში, თავის დროზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო, მაგრამ მისი გააქტიურება არ მომხდარა, შესაბამისად, არ იძებნება ოქმები ან რაიმე სახის ანგარიშები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.ზემოთ მოცემული სტრუქტურული ერთეულები და პირები ახდენენ სასწავლო პროცესის მხარდაჭერას, იღებენ მარეგულირებელ დოკუმენტებს, კალენდარული წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო იბარებს დირექტორის მ/შემსრულებლის ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სკოლის დირექცია ახდენს საჭირო სასწავლო რესურსის მობილიზებას(შეძენას), ამ ერთეულებისაგან ნაწარმოები დოკუმენტაციის გათვალისწინებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ ფუნქცია-მოვალეობები განაწილებულია(მაგალითისთვის გამოდგება სასკოლო გეგმის შემუშავება-შეთანხმება-დამტკიცების ამსახველი დოკუმენტაცია, კათედრების ანგარიშები, დირექტორის მიერ გამოცემული აქტები). სკოლაში, თავის დროზე(2019 წლის თებერვალში) შექმნილია მრჩეველთა საბჭო, მაგრამ მისი აქტივობის დამადასტურებელი რაიმე სახის ინფორმაცია არ იძებნება. ვიზიტისას, სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელმა აღნიშნა, რომ გააქტიურებს ამ საკითხს და მიიღებს სათანადო ზომებს ამ რგოლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართვისათვის.

სკოლას მიეცა რჩევა, მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა შეცვალოს ამჟამად არსებული პირობების გათვალისწინებით(2019 წლის შემადგენლობა უცვლელად ვერ დარჩება) და უზრუნველყოს მისი აქტიური ჩართულობა სკოლის გამოწვევებისა და რისკების იდენტიფიცირების მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
დირექტორის ბრძანებები, სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს და მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის და კათედრების ოქმები და ანგარიშები, სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლაში დასაქმებულია 24 მასწავლებელი, დირექცია/ადმინისტრაცია/ტექ.პერსონალის 9 პირი, ჯამში სკოლის პერსონალი შეადგენს 33 პირს. ამასთან ერთად სკოლას სოციალური პროექტის ფარგლებში დასაქმებული ჰყავს 5 პირი. დირექცია შედგება დირექტორის მ/შემსრულებლის, მოადგილის და ბუღალტრისაგან. ადმინისტრაციას წარმოადგენს საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული ჰყავთ სკოლის ექიმი, დამლაგებელი და დარაჯი. სკოლის შინაგანაწესით გაწერილია პერსონალის მხრიდან სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, რის დროსაც

სკოლა ახორციელებს გაკვეთილის ჩანაცვლებას ან გადანაცვლებას. ამ პერსონალით და არსებული სტრუქტურული ერთეულების მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელების საფუძველზე სკოლის დირექცია ახერხებს სკოლის მართვას მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა გათვალისწინებით. პერსონალის პირადი საქმეები სრულად არის მოწესრიგებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესით გაწერილია პერსონალის მხრიდან სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, რის დროსაც სკოლა ახორციელებს გაკვეთილის ჩანაცვლებას ან გადანაცვლებას. იგივე პროცედურა არის გათვალისწინებული დანარჩენი პერსონალის შემთხვევაშიც. სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია ყველა კათედრის წარმომადგენელი. სკოლას აქვს ამ ჯგუფის წევრების და კათედრების წარმომადგენლების, ასევე, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების პრაქტიკა. აღნიშნული აქტივობის საშუალებით შესაძლებელი ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონკრეტული საჭიროებების დადგენა. ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლა აპირებს ტრენინგ-სემინარების მოწყობას კურიკულუმების და შეფასების რუბრიკების დახვეწის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა პერსონალის შერჩევისას იცავს კანონის მოთხოვნებს. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში კადრი შეირჩევა კონკურსის წესით. ამ დროისათვის სკოლაში ვაკანტურია დაწყებითი კლასების მასწავლებლის საათები. აგვისტოს მეორე ნახევარში სკოლა აპირებს ღია კონკურსის გამართვას. კონკურსის წესით შერჩეული ჰყავთ სკოლის ექიმი. სკოლა იცავს მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს სკოლაში დასაქმებული/დასასაქმებელი პირების მიმართ, კერძოდ, პერსონალის პირად საქმეებში სრულად არის წარმოდგენილი სავალდებულო დოკუმენტები, მათ შორის ცნობები ნასამართლეობის არქონის, საქმიანობის უფლების ჩამორთმევის, ნარკოლოგიური და სქესობრივი სახის დანაშაულებების შესახებ(ამ უკანასკნელზე 2020 წლის შემდეგ დასაქმებული პირების მიმართ).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას ჰყავს ერთი პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომლის საათებზეც აგვისტოს თვის ბოლოს გამოცხადდება კონკურსი. სკოლაში დასაქმებული ყველა პირი(მათი პირადი საქმეების მონაცემების გათვალისწინებით) კვალიფიცირებული კადრია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.საგნობრივ კათედრებს მჭიდრო თანამშრომლობითი ურთიერთობები გააჩნიათ, ხდება ურთიერთდასწრება, შედეგების ერთობლივად გაანალიზება. სკოლის სტრუქტურული ერთეულები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გადაწყვეტილებები მიიღება დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია შემუშავებულია და გაზოარებულია სკოლის პერსონალის მიერ. სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ბრძანების საფუძველზე შექმნილია ჯგუფი, რომელიც მუშაობს კურიკულუმენის შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტის პროექტზე. აღნიშნულ

ჯგუფში ფართოდ არის წარმოდგენილი სასაკოლო საზოგადოება. იგივე შეიძლება ითქვას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდიკის შემუშავებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. წარმატებული საქმიანობისათვის სკოლა მასწავლებლებს გადასცემს სიგელებს, უხდის მადლობას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:
ა) სკოლასა და დასაქმებულ პირებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.
ბ)სკოლის შინაგანაწესი.
გ)სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ბრძანება.
დ)ხარისხის დანვითარების ჯგუფის დასწრების ოქმები.
ე)სტრუქტურული ერთეულების მიერ ნაწარმოები დოკუმენტაცია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ამ მიზნებისათვის გამოდგება კათედრების მიერ შედგენილი ანგარიშები, რომელიც დაფუძნებულია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების შედეგად წარმოებულ დაკვირვებაზე. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, ასევე, სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რის დროსაც გაიცემა რჩევები და რეკომენდაციები(მათ შორის წერილობითი). სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე ასევე დასწრების საშუალებით ახორციელებენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს. ხშირ შემთხვევაში, უკუკავშირი ზეპირი სახისაა, მაგრამ აქვთ წერილობითი სახითაც. ზემოთ მოცემული აქტივობები შესაძლებელია განვიხილოთ როგორც საჭიროებების დადგენის მექანიზმი. მასწავლებელთა გარდა სკოლა ზრუნავს თავისი დანარჩენი პერსონალის განვითარებისათვის. საკუთარი ფინანსური რესურსების გამოყენებით, სკოლამ ბუღალტერი დაასწრო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ფასიან ტრენინგებს. სკოლამ თავის დროზე უზრუნველყო უფლებამოსილი პირის გადამზადება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.კათედრების წევრების, მასწავლებლების, დირექტორის მიერ გაცემული რეკომენდაციების(უკუკავშირის) საფუძველზე, მასწავლებლებთან დაკავშირებით, სკოლას იდენტიფიცირებული აქვს საჭიროებები. სკოლას დაგეგმილი აქვს ტრენინგები კურიკულუმების და შეფასების რუბრიკების დახვეწის და გამოყენების მიმართულებით., ასევე, რამდენიმე პედაგოგისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო ინტეგრაციისათვის დანარჩენი საგნობრივი მიმართულებებით. სკოლამ მიზანშეწონილად ჩათვალა, შესყიდვების გეგმის და საინვენტარიზაციო პროცესების სწორად ადმინისტრირების მიზნით ტრენინგები გაევლო ბუღალტერს(დააფინანსა საკუთარი ბიუჯრტიდან).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის კარიერული ზრდისათვის სკოლაში არსებობს შესაბამისი სახის მატერიალური და ელექტრონული რესურსი. სკოლა აღჭურვილია მაღალი ხარისხის კომპიუტერული ტექნიკით(31 ერთეული ლეპტოპი ლაბორატორიაში, ასევე, ყველა კლასის დამრიგებელს გააჩნია საკუთარი ლეპტოპი) ეს რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის

პერსონალისათვის. აქვთ თავისუფალი სივრცეები, საკლასო ოთახები, სააქტო დარბაზი, რომლის გამოყენების ხელმისაწვდომობა ასევე არის უზრუნველყოფილი. ამას გარდა, სკოლა პერსონალს აწვდის ინფორმაციას სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების და სანდო კვალიფიკაციის მქონე სუბიექტების მიერ შემოთავაზებული ტრენინგ-პროგრამებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში, ზოგადად, პოზიტიური გარემო შეიმჩნევა. სკოლაში განხორციელებულ პროექტებში მთელი სკოლის ჩართულობა იგრძნობა. კეთილგანწყობილი გარემოა მასწავლებლებსა და დირექცია-ადინისტრაციას შორის. სკოლის პერსონალის უდიდესი ნაწილი უკვე ათეულობით წლის განმავლობაში მუშაობს იმ სკოლაში, ახალი კადრია სკოლის ექიმი, რომლისთვისაც გარემო ინტეგრირებულია(რაც გამოიხატება ამ უკანასკნელის ჩართულობით ქიმია-ბიოლოგიის საგნების მიმართულებით).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ახდენს წარმატებული ინიციატივების წახალისებას. ამ ინიციატივის მაგალითად გამოდგება ახალი სპორტული მოედნის მშენებლობა. სკოლას აქვს დიდი ტერიტორია(ეზო), რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს მოედნის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული ინიციატივა მოდის სპორტის მასწავლებლებისაგან, რადგან სკოლაში ჰყავთ ფეხბურთის პერსპექტიული ვაჟთა გუნდი. სკოლამ მასწავლებელთა ეს ინიციატივა გააცნო ადგილობრივ ხელისუფლებას და ითხოვა მხარდაჭერა, რაც დაკმაყოფილდა კიდეც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ა)ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.
ბ)ვიზიტის შედეგად ნანახი რესურსები(ელექტრონული)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვის პრაქტიკა, რაც ჩანს საგნობრივი მიმართულებების კათედრების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში. სასწავლო წლის ბოლოს ჯამდება წლის დასაწყისში დაგეგმილი აქტივობების შედეგები, სკოლა ახდენს ხარვეზის იდენტიფიცირებას და ახდენს პრევენციული ზომების გატარებას. ეს პროცესი ძირითადად წარიმართება ახალი სასკოლო გეგმის პროექტის შემუშავებისას. ვიზიტის პერიოდში აგვიხსნეს, რომ სკოლას დაწყებული აქვს მუშაობა 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმის პროექტის შემუშავებაზე. შექმნილი ჰყავთ სამუშაო ჯგუფი სასწავლო გეგმის და კურიკულუმების შექმნის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში ფუნქციონირებს ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებთან. სკოლის დოკუმენტებში(საჯარო სკოლის წესდება) გაწერილია თითოეული ამ ერთეულის ფუნქციები, იდენტიფიცირებულია მათი საქმიანობის ისეთი მიმართულებები, რომელიც მნიშვნელოვანია

საგანმანათლებლო საქმიანობის სწორი მიმართულების წარმართვისათვის. მაგალითისათვის გამოდგება სამეურვეო და პედ.საბჭოების მიერ განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი, რითაც ხორციელდება მმართველობითი პროცესები(სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება-შეთანხმება-დამტკიცების მიმართულება, ბიუჯეტის დამტკიცება, გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევა, ისგ-ის შექმნა და მონიტორინგის განხორციელება, სასკოლო მატერიალური ბაზის განახლება, სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა და ა.შ). მოქმედ შინაგანაწესში ასევე გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები(დისციპლინური გადაცდომების მართვის და პრევენციის მექანიზმები). სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ყველა კლასს ჰყავს დირექტირის მ/შემსრულებლის ბრძანებით განსაზღვრული დამრიგებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია გასაჩივრების მექანიზმი. შინაგანაწესში მითითებულია, რომ მასწავლებელთა შემთხვევაში გამოყენებული იქნება ამ შინაგანაწესის ნორმები და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის N167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, თუმცა სკოლას არ აქვს დისციპლინური წარმოების პრაქტიკა(შემთხვევის უქონლობის გამო).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლის მოსწავლეების მშობელს/წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში ფიქსირებულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ა)კათედრების ანგარიშები
ბ)სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმები
გ)შინაგანაწესი
დ)ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.
ე)ხელშეკრულებები(სკოლასა და მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის).

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა იყენებს დასწრებითი სახის შეხვედრებს მშობლებთან, სკოლის პერსონალთან, სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე, საჯაროა დირექტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მოსმენა და განხილვაში მონაწილეობის მიღება. სკოლაში განხორციელებული აქტივობების გასაჯაროების მიზნით გამოყენებულია სოციალური ქსელი. სკოლას ახალი შექმნილი აქვს ვებ.გვერდი, სადაც განთავსებული ექნება სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული მასალები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში ფუქნციონირებს სამურვეო საბჭო, რომელშიც თანაბარი რაოდენობითაა არჩეული მშობელი და მასწავლებელი, ასევე, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტიც პარიტეტის საფუძველზეა შექმნილი. სკოლაში არ ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რის შესახებაც ვიზიტის პერიოდში მივიღეთ დაპირება, რომ მიმდინარე წლის სექტემბრიდან ეს სტრუქტურული რგოლი დაიწყებს თავისი ვალდებულებების განხორციელებას. ხსენებული სტრუქტურული ერთეულების მიერ რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი და დამხმარე დოკუმენტების შემუშავება-შეთანხმება და დანერგვა, რაც მტკიცდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური ინფორმაციით და ინტერვიურების მეშვეობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის facebook გვერდი.
მშობელთა კრებები/შეხვედრების ოქმები
დირექტორის, სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს ოქმები და ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ვიზიტის პერიოდში, სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდებოდა უფლებამოსილი პირის მიერ(მანდატური არ ჰყავთ), ეს უკანასკნელი თავისი საქმიანობის განხორციელებისას იყენებდა ვიდეო-სათვალთვალო სისტემას. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის რეგულაციები გაწერილია შინაგანაწესში. სკოლაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლის ტერიტორიის დაცვას ასევე უზრუნველყოფდა სკოლის დარაჯი. სკოლას ჰყავს ექიმი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საჭიროების შემთხვევაში, სკოლას შეუძლია პირველადი სამედიცინო სახის დახმარების გაწევა. სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლას არ ქონდა სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან

დაკავშირებული უსაფრთხოების სისტემა, არც პროცესი ქინდათ დაწყებული. სკოლას არ ქონდა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რაც შეეხება შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დოკუმენტს, მისი მიღების მიზნით სკოლას დაწყებული ქონდა პროცესი(სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში წერილი გაგზავნილი იყო 2023წლის 05 ივლისს და დაწყებული იყო წარმოება).

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეების უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვის გათვალისწინებით **სკოლას მიეცა რჩევა,** ხელშეკრულება გააფორმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 14.08.2023-29.12.2023), შესაბამისობის გეგმის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლას უკვე აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებული ვერსია, დაწყებული აქვს პროცესი შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დასკვნისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმატივების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.**

ინდიკატორი მეტწილად დაკამაყოფილებულია

2.საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება შინაგანაწესის ნორმების მიხედვით, ასევე, ამ მიზნით სკოლას გამოყოფილი ჰყავს მორიგე მასწავლებლები, უფლებამოსილი პირი, სკოლის დარაჯი. სკოლას სოციალური პროექტის ფარგლებში(სახელმწიფო პროგრამა) დასაქმებული ჰყავს პირი, რომელიც ასევე მეთვალყურეობს სკოლაში უცხო პირთა შესვლა-გამოსვლას და წესრიგის დაცვას. წესრიგის დაცვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს 8 სათვალთვალო კამერა(სკოლა გეგმავს დამატებას) რომლითაც კონტროლდება შიდა და გარე პერიმეტრი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.ფსიქოლოგიური და ემოციურად უსაფრთხო გარემოს დაცვისათვის სკოლა იყენებს შიდა რესურსს(მანდატური არ ჰყავთ). აღნიშნულ გარემოს იცავს დირექცია, სკოლის ექიმი, უფლებამოსილი პირი, დამრიგებელი(სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში) და სპეციალური მასწავლებელი. ვიზიტის დროს სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელმა აგვიხსნა, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის ექიმის ჩართულობა, რომელთანაც მოსწავლეები გამუდმებით კონტაქტობენ, ასევე, იგივე შეიძლება ითქვას სპეციალური მასწავლებლის მიმართაც(ძალიან აქტიური პირია, რომლის უშუალო დამსახურება არის სსსმ მოსწავლის სრული ინტეგრირება დანარჩენ მოსწავლეებთან).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს დირექცია, იგი ახორციელებს კონტროლს დამლაგებლების საქმიანობაზე. ამავე მიზნით სკოლაში, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია პირი, რომელიც დამლაგებლებს ეხმარება შენობის და ეზოს დასუფთავებაში. ვიზიტის დროს მოწესრიგებული იყო შენობა, თუმცა ეზო საჭიროებს უფრო მეტად დასუფთავებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.პერსონალურ მონაცემებთან მუშაობს საქმისმწარმოებელი და სკოლის დირექტორი, ასევე, კლასის დამრიგებლები. პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი(ბრძანებით არის განსაზღვრული). სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელშიც გაწერილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის თანახმად, სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამსახურეობრივ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, სკოლის საქმისმწარმოებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს მოპოვებული ინფორმაცია, გარდა კანონით გათვალიწინებული შემთხვევებისა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7.სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების პრაქტიკა ან რაიმე მარეგულირებელი დოკუმენტი, არ ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო და მხოლოდ დირექცია-ადმინისტრაციის მიერ, ზეპირი წესით ხდება გამოწვევების იდენტიფიცირება და ზოგადპრევენციული სახის ღონისძიებათა გატარება(ისევ ამ რგოლის მიერ). აღნიშნულ საკითხზე რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულება არ არსებობს, ვიზიტის დროს მხოლოდ ზეპირი განმარტებებით შემოიფარგლენ. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.10.2023-01.12.2023). ა.წ. ოქტომბრიდან ფუნქციონირებას დაიწყებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც მოახდენს რისკების და გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათი პრევენციის შესახებ გასცემს რეკომენდაციებს.**

ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):
ა)შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის 24 მაისს გაცემული მიწერილობა N555
ბ)სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის 2023 წლის 31 აგვისტოს MIA 5 23 02531365 წერილი საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ
ბ)სკოლის შინაგანაწესი.
გ)უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ბრძანება.
დ)საქმისწარმოების წესი.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა წარმოადგენს სამსართულიან შენობას, რომელიც ექსპლუატაციაშია 1974 წლიდან. შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2018 წელს. ფასადი და შიდა სივრცე კარგ მდგომარეობაშია, საკლასო ოთახები კარგად

არის მოვლილი. გააჩნიათ საკმარისი რაოდენობის საკლასო ოთახები და სასკოლო ინვენტარი, სკოლაში არის დირექციის(კანცელარია), მასწავლებლებისთვის(სამასწავლებლო), ექიმის კაბინეტი, რესურსოთახი. ყოველ სართულზე არის სველი წერტილები(კარგ მდგომარეობაშია). ცალკე სივრცეშია განთავსებული ბიბლიოთეკა(ბიბლიოთეკა სრულად არის აღჭურვილი ინვენტარით, გააჩნიათ მხატვრული ლიტერატურის ფართო არჩევანი. სივრცე დიდია და ბიბლიოთეკასთან ერთად წარმოადგენს სამკითხველო დარბაზს, ახალი მაგიდებით და სკამებით) კომპიუტერული ლაბორატორია(22 ლეპტოპი), ექიმის კაბინეტი(რომელიც გასარემონტებელი და სტანდარტის შესაბამისობაშია მოსაყვანი), რესურსოთახი(სრულად აღჭურვილი) და საბუნებისმეტყველო საგანთა ლაბორატორია(ფიზიკის-ქიმია-ბიოლოგიის ძველი თვალსაჩინოებები, რომელსაც მაინც იყენებენ რესურსის სახით, ამ მხრივ ფიზიკის ლაბორატორია უკეთეს მდგომარეობაშია). ადაპტირებული სველი წერტილი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, გასახდელებით და მოქმედი საშხაპეებით. აქვთ სააქტო დარბაზი, რომელსაც იყენებენ სასკოლო ღონისძიებების/შეხვედრების ჩატარების მიზნით. სკოლის ეზოში მიმდინარეობს სტანდარტული ზომის სპორტული მოედანის მშენებლობა. სკოლას სარგებლობის უფლებით გადმოცემული აქვს 20448 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის ნაწილზეც მიმდინარეობს სპორტული მოედნის მშენებლობა(დაწყებულია), ნაწილზე გაშენებულია ჩანდლერის ჯიშის კაკლის ნერგები, სკოლის შესასვლელის მხარეს დგას საქვაბე და გარე სველი წერილის შენობა(ძველი საქვაბე სადემონტაჟოა). სკოლის ეზოში გაშენებულია დეკორატიული მცენარეები(მეორე ასეთი სივრცე მოწყობილია შენობის შუაგულში, შენობის განლაგება იძლევა ამის საშუალებას).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. კომპიუტერული ლაბორატორია ღიაა და გამოკრული აქვთ მისით სარგებლობის განრიგი და წესი. ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილია, აღჭურვილია სასწავლო და მხატვრული ლიტერატურის მდიდარი წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი შესაბამისი ახალი ინვენტარით. სააქტო დარბაზი და სპორტული დარბაზი ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის შიდა და გარე ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია. სასწავლო შენობას აქვს კეთილმოწყობილი პანდუსი, შენობაში გადაადგილება თავისუფლად არის შესაძლებელი, თავისუფალი სივრცე გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისათვის(მათ შორის აღსანიშნავია მეწარმეობის მიმართულებით მოწყობილი გამოფენა). რესურსოთახი, დირექცია-ადმინისტრაციის კაბინეტები, სამასწავლებლო და ექიმის კაბინეტი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. საკლასო ოთახები აღჭურვილია ახალი სასკოლო ინვენტარით. სართულების ფოიეები კარგად არის მოვლილი და ვიტრაჟებით ისეა მოწყობილი, რომ მაქსიმალურად შეიძლება ბუნებრივი განათების გამოყენება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას შექმნილი აქვს გარემო, რომელიც ქმნის პირობებს მისი სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისათვის. სკოლას გააჩნია კარგად მოწყობილი სამკითხველო დარბაზი(რომელიც ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლების დამსახურებით და ჩართულობით არის აღჭურვილი), სააქტო დარბაზი გამოყენებულია სასკოლო ღონისძიებების ჩასატარებლად, სადაც თემსაც ეპატიჟებიან. სპორტული დარბაზი კარგ მდგომარეობაშია, სადაც ფუნქციონირებს თავისუფალი ჭიდაობის სექცია(უფასოდ) და ამ სექციაში გაერთიანებულია მთელი თემის და მომიჯნავე სოფლების ახალგაზრდობა, დარბაზს აქვს კეთილმოწყობილი გასახდელები და მოქმედი საშხაპეები. სკოლის ეზოში გაშენებულია ნარგავები(მათ შორის ზემოთ ხსენებული ჩანდლერის ჯიშის კაკლის ნერგები, რომლის რაოდენობის გაზრდასაც ამ შემოდგომით დამატებით გეგმავენ და რომლის მოვლა-პატრონობაში სასკოლო საზოგადოების გარდა თემის წარმომადგენლებიც არიან ჩართულები). სკოლას შიდა სივრცეში მოწყობილი აქვს გამწვანებული კუთხე. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სოციო-კულტურულ გარემოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლაში, ვიზიტის პერიოდისათვის ირიცხებოდა 204 მოსწავლე. სკოლას გააჩნია სასწავლო რესურსი კურიკულუმების განხორციელებისათვის. ამ რესურსში მოიაზრება მდიდარი ბაზა კომპიუტერული ტექნიკის მიმართულებით, ასევე, საბუნებისმეტყველო საგანთა ლაბორატორია(ფიზიკის-ქიმია-ბიოლოგიის ძველი თვალსაჩინოებები, რომელსაც იყენებენ რესურსის სახით, ამ მხრივ ფიზიკის ლაბორატორია უკეთეს მდგომარეობაშია), გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების საკმარისი ოდენობა, ელექტრონული რესურსები, მხატვრული ლიტერატურის ფართო არჩევანი, სპორტული დარბაზი. სკოლას მოკლე ხანში შეემატება თანამედროვე სტანდარტის სპორტული მოედანი

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ვიზიტის ფარგლებში რესურსების ადგილზე დათვალიერება
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის კომპიუტერების ლაბორატორია აღჭურვილია 22 ლეპტოპით, კომბინირებული სკანერით და პროექტორით. ამას გარდა, დირექციის და ადმინისტრაციის ოთახებში განთავსებულია ლეპტოპები და პერსონალური კომპიუტერები. მოსწავლეებისათვის სრულად არის უზრუნველყოფილი ამ რესურსების ხელმისაწვდომობა(სარგებლობის წესი და განრიგი უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას). სკოლას აქვს 4 ერთეული პროექტორი, რომელსაც იყენებენ საჭიროებისამებრ. სკოლას მიეწოდება უწყვეტი ინტერნეტი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეების, ისე დანარჩენი სასკოლო საზოგადოებისათვის. შემუშავებული აქვთ წესი და განრიგი, რაც იძლევა საშუალებას დაბრკოლების გარეშე ისარგებლონ კლასებმა ლაბორატორიით. სასკოლო პერსონალიც იგივენაირად ახერხებს ამ სიკეთით სარგებლობას, ამას ემატება ისფაქტობრივი გარემოება, რომ ყველა კლასის დამრიგებელს გააჩნია ლეპტოპი(სკოლის მიერ მიცემული), რის გამოც განტვირთულია ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოებისათვის გამოყენებულია დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემა. სკოლას აქვს მატერიალურად შესული კორესპოდენციის/განაცხადის ელექტრონულად რეგისტრაციის პრაქტიკა. ასეთი ფორმით შესული დოკუმენტაციის რეგისტრაციის პროცედურები გაწერილია საქმისწარმოების წესში. დირექტორის მიერ გამოცემული ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტები აიტვირთება eflow--ში, ასევე, ხდება მისთვის ნომრის მინიჭება და ტარდება ბრძანებების ჟურნალში. ელ.ფოსტებზე შემოსული დოკუმენტაცია(წერილები) გადამისამართდება შესაბამის პირთან. პასუხის მომზადებაც ასევე ელექტრონულად ხდება. დირექტორის მიერ გამოცემული ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტები აიტვირთება ელექტრონულად, ასევე, ნუმერაციის და თარიღის მიხედვით ტარდება მატერიალურად(ჟურნალში). შესყიდვის ხელშეკრულებები ტარდება ელექტრონულად(signature.ge).
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემას(eflow). სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - badiauri@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(eschool-ის ბაზა); იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის პროფილში(ემის-ი) სრულად არის ასახული მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობის, კლასები, მასწავლებლების, პერსონალი თაობაზე, საათების განაწილების შესახებ, ასევე, არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ქ.საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ებთან(ესიდა), ადგილობრივ თვითმმართველობასთან(მუნიციპალიტეტის მერიასთან). საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
Eflow--სა და mes.gov.ge-ზე ნაწარმოები დოკუმენტაცია/კორესპოდენციები
Eshcool-ის ბაზის ვიზუალური დათვალიერება.
10 დეკემბრის ანგარიშები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური

მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლას აქვს ახლად შექმნილი ვებ.გვერდი, ვიზიტის პერიოდში არ ფუნქციონირებდა(სკოლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო). სკოლა გეგმავს მასზედ განათავსოს საგნობრივი კურიკულუმების შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტის პროექტი, დამტკიცებული დოკუმენტაცია, 2023/24 სასწ.წლის გეგმის და სასკოლო კურიკულუმების პროექტები, სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი, ასევე, სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები. სკოლა აქტიურად იყენებს facebook-ის პროფილს(აქვთ ე.წ. ჩატი), ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.08.2023-30.11.2023), რის თანახმადაც სკოლას უკვე აქვს მოქმედი ვებ.გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლის მისის-ხედვა-ღირებულებების ახალი დოკუმენტი დანარჩენ სასკოლო მასალასთან ერთად.**
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სკოლას ვებ.გვერდზე სრულყოფილად არ აქვს განთავსებული ისეთი სახის მასალები, რომელიც დაკავშირებული არის სკოლის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან(ან მათ შესახებ იძლევა რაიმე სახის ინფორმაციას), სოციალური ქსელების გამოყენებით ეს საკითხი მოწესრიგებულია. სკოლას აქვს გვერდი facebook-ზე, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ვიზიტის დროს სკოლამ ასევე დააფიქსირა მზაობა აღნიშნული ინფორმაციის ვებ.გვერდზე განთავსებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.როგორც ავღნიშნეთ, სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს. მასზედ განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესახებ. დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დავადგინეთ, რომ სკოლა აქტიურ კომუნიკაციაშია საზოგადოებასა და გარშემო მყოფ თემთან. ითვალისწინებენ საზოგადოების შეხედულებებს და მოსაზრებებს სასწავლო პროცესის/სასკოლო ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მოქმედი ვებ.გვერდი ახალი შექმნილია, მაგრამ სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ ხერხდება მასზედ რაიმე სახის ინფორმაციის განთავსება. სკოლაში სასწავლო პროცესი მინდინარეობს სახელმწიფო ენაზე(ქართულად), როდესაც მოგვარდება ის ტექ.სახის ხარვეზი, რაც ხელს უშლის სკოლის ვებ.გვერდის გამართულად მუშაობას, ინფორმაცის განთავსებაც ქართულად მოხდება.დოკუმენტი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის**

უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.08.2023-30.11.2023), რის თანახმადაც სკოლას უკვე აქვს მოქმედი ვებ.გვერდი, სადაც ინფორმაცია ქართულად არის განთავსებული.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.ამ ეტაპზე სკოლას მსგავსი სახის ინფორმაცია არ აქვს განთავსებული, თუმცა, მას შემდეგ, რაც სკოლა დაამტკიცებს 2023/24 სას.წლის სასკოლო გეგმას, სტრატეგიული განვითარების გეგმას და წლიურ სამოქმედო გეგმას, მოახდენს მის განთავსებას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.08.2023-30.11.2023), რის თანახმადაც სკოლას უკვე აქვს მოქმედი ვებ.გვერდი, სადაც ეტაპობრივად იქნება განთავსებული სასკოლო დოკუმენტაცია.**
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
სკოლის ვებ.გვერდი [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)]
სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 18 სექტემბრის N2-56 ბრძანება სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ
საინფორმაციო დაფა
ინტერვიუ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ფინანსდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერის მიხედვით. ამას გარდა, სკოლას ერიცხება მასწავლებელთა სტატუსის დანამატი, უფლებამოსილი პირის სარგო, 1 სსსმ მოსწავლის თანხა. ამ რესურსით სკოლა იხდის პერსონალის ხელფასს, კომუნალურ გადასახადს და ახერხებს სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსების შეძენას, რითაც ქმნის პირობებს სასწავლო პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის. ამ ეტაპზე სკოლა ფინანსურად მდგრადია.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შედგენილია ამავე წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტით. შესყიდვების გეგმაში ცვლილება ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი(ბუღალტერი). ყოველი კალენდარული წლის დეკემბერში სკოლის დირექტორი ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს ბიუჯეტის თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი
2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა(ბრძანება და დანართი)
დირექტორის ბრძანება ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის უფლებებისა და ინტერესების დაცვა. ასეთი აქტებიდან აღსანიშნავია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა, კერძოდ, სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს, მათი უფლებების დაცვის მექანიზმებს, მათი მხრიდან ადმინისტრაციული სახის გადაცდომის შემთხვევაში-ადმინისტრაციული სახის სახდელის შეფარდების წესს და პირობებს, დირექტორის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს. მოსწავლის უფლება, რომ მან მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. რეგულირებულია სკოლის სხვა აქტებით(სასკოლო-სასწავლო გეგმა, ბიბლიოთეკით და ლაბორატორიებით სარგებლობის წესი). მოსწავლის პესონალური ინფორმაცია დაცულია, გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, ვინც უშუალოდ აკონტროლებს პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის და ელ.პორტალის დაცულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის ბიბლიოთეკით და ლაბორატორიებით სარგებლობის წესი, საგაკვეთილო ცხრილი გაკვეთილებს შორის დასვენებისათვის საჭირო ინტერვალის გათვალისწინებით შედგენილია გამჭირვალედ, სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით და მოსწავლის საჭიროებაზე მორგებულად. აღნიშნული დოკუმენტაცია საჯაროა და განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლას ახალი შექმნილი აქვს ვებგვერდი, სადაც აღნიშნული დოკუმენტაცია ჯერჯერობით არ არის განთავსებული, მაგარამ ვიზიტის პერიოდში მივიღეთ დაპირება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები განთავსებული იქნება პორტალზე, ახალი სასწავლო წლის დასწყისიდან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ყველა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია სკოლის ვალდებულებები მოსწავლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის მიწოდების, მხარეთა უფლებების და ვალდებულებების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებილია

დასტურდება (მტკიცებულებები):
სკოლის შინაგანაწესი
2022/23 სასწ.წლის სასკოლო გეგმა
სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
სკოლის კომპ.ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
გაკვეთილების ცხრილი.
სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.
ვიზუალური დათვალიერება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხებზე სკოლა მოქმედებს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. სკოლაში ჩარიცხვა ხორციელდება გამჭირვალედ, დისკრიმინაციის გარეშე. სკოლას არ აქვს შემუშავებული რაიმე დამატებითი წესი და რეგულაციები მოსწავლეთა ჩარიცხვასთან დაკავშირებით, არც რაიმე სახის ბარიერი აქვს დაწესებული. სკოლას აქვს მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების და აღდგენის პრაქტიკა, კერძოდ სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2022 წლის 29 მარტის N2/09 ბრძანებით მოსწავლეს შეუჩერდა სტატუსი, რომელიც აღდგენილი იქნა სტატუსშეჩერებული პირის 2023 წლის 25 იანვრის განცხადების საფუძველზე, დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 26 იანვრის N2/02 ბრძანებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.Eschool-ის ბაზაში სკოლას მოწესრიგებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევა, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის ფორმალური მხარე. პარალელურ რეჟიმში დავათვალიერეთ მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც ასევე მოწესრიგებულია იგივე საკითხები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს დაწყებით-საბაზო-საშუალო საფეხურებზე. აღნიშნული სერვისის შესახებ ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია სასკოლო-სასწავლო გეგმაში, რომლის დანერგვაც წარმოებს საგნობრივი კურიკულუმების მეშვეობით. აღნიშნული საკითხების შესახებ საზოგადოებას/მოსწავლეთა მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ სკოლის დირექციისაგან და მასწავლებლებისაგან. საამისოდ

გამოყენებული აქვთ დასწრებითი შეხვედრების ფორმატი(მშობელთა კრება). მომავალი სასწ.წლიდან სკოლა გეგმავს, მის მიერ განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის სესახებ საჯარო ინფორმაცია განათავსოს სკოლის ახლად შექმნილ ვებგვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაციას(რომელიც ვრცელდება სკოლის პერსონალის მიერ) არ არის წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. ძირითადად, მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ დამრიგებლის მიერ, ე.წ. ჩატების გამოყენებით, ასევე, მშობელთა კრებებზე. სკოლას არ ქონია შემთხვევა, რომ მისმიერ მიწოდებული ინფორმაცია არასარწმუნოდ ჩაეთვალოთ ან გაეპროტესტებინოთ(მით უმეტეს, რომ სკოლაში ამჟამად 30-მდე აზერბაიჯანელი ეროვნების მოსწავლე სწავლობს და გაჟღერებული ინფორმაციის მიხედვით მათი რაოდენობა მზარდია). 2023/24 სასწ.წლის დადგომიდან ზემოთ მითითებულ საკითხებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია განთავსდება სკოლის ვებ.გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
Eschool-ის ბაზის ვიზუალური დათვალიერება.

ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლას არ აქვს შემუშავებული მოსწავლის სასწავლო გარემოსათან შეჩვევის დოკუმენტირებული მექანიზმი. ვიზიტის პერიოდში გამოვარკვიეთ, რომ ასეთ მექანიზმების შემცველ გეგმაზე მუშაობა დაწყებული აქვთ და მის დამტკიცებას აპირებენ 2023/24 სასწავლო წლის დადგომამდე. სკოლის დირექციამ აგვიხსნა, რომ მჭიდრო თანამშრომლობითი ურთიერთობა აქვთ სოფელ ბადიაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან(ეს დაწესებულება ფუნქციონირებს სკოლის მომიჯნავედ), სასკოლო ღონისძიებაზე ეპატიჟებიან ბაღის თანამშრომლებს და მის აღსაზრდელებს, შენობაში უწყობენ ექსკურსიებს. სკოლაში სწავლობს აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების მოზრდილი კონტიგენტი, რომლებსაც სკოლის მასწავლებლებმა და კლასის დამრიგებლებმა შეუქმნეს პირობები დანარჩენ მოსწავლეებთან და სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის. ამ მხრივ რომ სკოლა ახორციელებს გარკვეული სახის აქტივობებს(მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრული არ ჰყავთ ტრანზიციის კოორდინატორი), დასტურდება იმით, რომ სხვა ეროვნების მოსწავლეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ვიზიტის პროცესში სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას მოსწავლეთა ტრანზიციის დოკუმენტი და პედაგოგთა შემადგენლობიდან გამოყოს პირი კოორდინატორის ფუნქციების შესრულების მიზნით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის პირველკლასელებთან მუშაობს კლასის დამრიგებელი, რომელიც მოსწავლეებს აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, საგნის მასწავლებლებს, აჩვევს სასწავლო გარემოს, ბავშვებთან ერთად ქმნის ქცევის მარტივ წესებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სხვა ეროვნების მოსწავლეთა ადაპტაციას, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხშირად ბარიერს სახელმწიფო ენის არასრულყოფილად ფლობაც ქმნის.

სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას ადაპტაციის დოკუმენტი და მასში ასახოს ის პრაქტიკული გამოცდილება, რაც უკვე დაგროვებული არის ამ მიმართულებით. ასევე, თავისი პერსონალიდან განსაზღვროს კოორდინატორი ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლეებს სკოლა აწვდის ინფორმაციას, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით მისი უფლებების თაობაზე. შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შედგენის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეს უწევს კონსულტაციას დავალებაში მოცემულ საკითხებზე, შესრულების მეთოდიკასა(მოსწავლის აზრის გათვალისწინებით) და ვადებზე, ასევე, შეფასების რუბრიკების შესახებ. როგორც ავღნიშნეთ, სკოლაში სწავლობს სხვა ეროვნების მოსწავლეთა კონტიგენტიც, რომელთაც სკოლა დამატებითი ხასიათის განმარტებებს აძლევს შედეგების გასაჩივრების მიმართულებით(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია სემესტრული და წლიური ქულების გაპროტესტების თაობაზე, ასევე, საგნის დაუძლევლობის შემთხვევაში-საშემოდგომო გამოცდის დანიშვნა-ჩატარების ვადების და ექსტერნის ფორმით საგნის/კლასის/სემესტრის დაძლევის შესახებ. სკოლის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობს ახალი სასკოლო გეგმის ფუნდამენტურ ნაწილებს. მობილობის შემთხვევაში სკოლა ღებულობს ზომებს მოსწავლისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლაში დასაქმებული სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები მოსწავლეებს ეხმარებიან არაფორმალური აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, წახალისებულია მათი ინიციატივა. ამის დამადასტურებელ მაგალითად გამოდგება სამოქალაქო განათლების მასწავლებლის თაოსნობით შექმნილი კლუბი, რომელმაც მიმდინარე წელს განახორციელა სასკოლო პროექტი(ფართო ჩართულობით) „ჩემი საოცნებო ბიბლიოთეკა“. პარტნიორი ორგანიზაცია იყო USAID-ი, ამ ორგანიზაციის მიერ გამართულ ბიზნესფორუმზე პროექტის პრეზენტაცია განახორციელა აზერბაიჯანულენოვანმა მოსწავლემ(რომელიც არაჩვეულებრივად ფლობს ქართულ ენას), პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილიყი ისეთი თანამედროვე ლიტერატურით, რომელიც აზერბაიჯანელ მოსწავლეებს და თემს გააცნობდა ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას. პროექტი დაფინანსებული იქნა ადგილობრივი მეცენატის მიერ და შედეგად სკოლას აქვს თანამედროვე სამკითხველო დარბაზი. პროექტი მდგრადია, რაც ნიშნავს იმას, რომ

ლიტერატურის გადმოცემა კვლავ მიმდინარეობს. მეორე მაგალითია ჩანდლერის ჯიშის კაკლის ნარგავების გაშენება, რომელიც ასევე სასკოლო პროექტის ფარგლებში განხორციელდა და აქაც ადგილობრივმა ბიზნესმენმა(ამჯერად სხვამ) დააფინანსა მთელი სამუშაოები, ამასთან ერთად სკოლას შეუძინა ნერგები. ეს პროექტიც მდგრადია და კვლავ მიმდინარეობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.როგორც წესი, ასეთი უკუკავშირები ზეპირად გაიცემა. სკოლა სტანდარტულად უდგება ამ საკითხს და აქვს მხარეთა ჩართულობის იმედი. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სკოლის ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდის ახლებურად გაგება(სკოლას შექმნილი აქვს მისი ძირითადი ნაწილი), რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას, რაც თავის თავში მოიცავს უკუკავშირის ფორმატში გაცემულ რჩევებს და რეკომენდაცია/სურვილებს(საზოგადოების მხრიდან, მათ შორის ვებ.და facebook გვერდების გამოყენებით). სკოლამ, ასეთი უკუკავშირის საფუძველზე, ჩამოაყალიბა ქართული ენის წრე, რომელიც ეხმარება აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებს ქართული ენის შესწავლა-დახვეწის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
ინტერვიუ სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან
პროექტი „ჩემი საოცნებო ბიბლიოთეკა“.
პროექტი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის 2022/23 წლის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული არ არის პროფესიული ორიენტაციის საგაკვეთილო საათები, თუმცა სკოლას არჩევით საგნად ჰქონდა მეწარმეობა. აღნიშნული საგნის ფარგლებში მოსწავლეები ახორციელებენ გარკვეულ აქტივობებს, ამზადებენ სამკაულებს(სამაჯურებს). ვიზიტის დროს ვნახეთ მოსწავლეთა მიერ შექმნილი ნაკეთობები, რომლებიც გამოფენილია სკოლის ფოიეში. სკოლის დირექტორმა მოგვაწოდა ინფორმაცია მოსწავლეთა მიერ მოწყობილი გამოფენა-გაყიდვის შესახებ. სკოლაში იწვევენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ეცნობიან მათ საქმიანობას. ასეთი ვიზიტის შედეგია სოფლის აგრონომის ჩართულობის მაგალითი ჩანდლერის ჯიშის კაკლის ნერგების გაშენებასთან დაკავშირებით, რაც გადაიზარდა ურთიერთ თანამშრომლობაში და გრძელდება ამჟამადაც.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია სავალდებულო ზოგადი განათლების მიღებასთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს დირექტორმა აგვიხსნა, რომ ამ საკითხზე ინფორმირებულები არიან მშობლებიც. საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეუძლია მიიღოს პროფესიული განათლება(ასევე, დაასრულოს ზოგადი განათლების მე-3 საფეხური). გარდა ამისა, სკოლას მოსწავლისათვის მიწოდებული აქვს ინფორმაცია სრული ზოგადი განათლების შეუზღუდავად მიღების შესახებ, რის შემდეგაცასევე შესაძლებელია პროფესიული თუ უმაღლესი განათლების მიღება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას არ აქვს გაწეული მომსახურების შეფასების დოკუმენტირებული მექანიზმი და არც რაიმე სახის ანგარიში არსებობს შეფასების შედეგების ეტაპობრივი დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებასთან დაკავშირებით. ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რჩევა, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენოს კითხვარები(ჩაატაროს კვლევა) და ინტერვიუები ფოკუსჯგუფებთან.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინტერვიუ

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე, რომელთანაც მუშაობს სპეციალური მასწავლებელი. რესურსოთახი სათანადოდ არის აღჭურვილი. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი, ყველა საგნისათვის შექმნილი აქვთ ინდ.გეგმა. სკოლა მუდმივად ახორციელებს შიდა მონიტორინგს. სსსმ მოსწავლე სრულად ინტეგრირებულია დანარჩენ მოსწავლეებთან(სპეციალური მასწავლებელი აქტიური ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს). სპეციალური მასწავლებელი ესწრება მოსწავლეს გაკვეთილებზე, უწევს შესაბამის დახმარებას, შემდეგ მოჰყავს რესურსოთახში და იქაც აგრძელებს მოსწავლესთან მუშაობას. დირექტორის განმარტებით, სპეციალური მასწავლებლის მხრიდან ასეთი სახის აქტივობების შედეგად მოსწავლე იმდენად „გაიზარდა“, რომ არ არის გამორიცხული, დადგეს მისი გადაფასების საკითხი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სოფელ ბადიაურის სკოლაში მთელი სასკოლო საზოგადოება არის ჩართული სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარებისათვის. სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია(სსსმ მოსწავლეს გადაადგილების პრობლემა არ აქვს და თავისუფლად სარგებლობს სკოლის ყველა სიკეთით), მისთვის შექმნილია ინდ.გეგმა, მოწყობილია რესურსოთახი, მის ირგვლივ შექმნილია საქმიანი და კეთილგანწყობილი გარემო.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
ისგ გეგმები, შიდა მონიტორინგის დოკუმენტაცია, რესურსოთახის ვიზუალური დათვალიერება, ინტერვიუ სპეციალურ მასწავლებელთან

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი***

(არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.გასული 2022/23 სასწ.წლის განმავლობაში სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლას თავისი მოსწავლეებისათვის ასეთი ტიპის მომსახურება არ შეუთავაზებია.
2. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების შეთავაზება არ განხორციელებულა(სკოლას არ აქვს გაიჯარებული ფართები)
3.ამ ეტაპზე, ასეთი სახის მომსახურება სოფელ ბადიაურის სკოლაში არ ხორციელდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(დაწყებითი საფეხური)**	**X შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის პროექტი. რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს და დამტკიცდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. დოკუმენტში გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა გაითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები და მოვალეობებია წარმოდგენილი. ამავე დოკუმენტში ჩანს, კათედრის თავჯდომარის, კათედრის, დირექციის როლი სამუშაო პროცესში. ასევე ჩანს მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, ასევე სკოლის თვითშეფასებიდან და კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში თანამშრომლებენ როგორც ერთმანეთთან,ასევე მოსწავლეების მშობლებთან. თვითშეფასების დროს სკოლა აღნიშნავს: ,,ვახდენთ მშობელთა ზეპირ გამოკითხვას თუ რა ტიპის დავალებები მოსწონთ მოსწავლეებს, მშობელთა კრებებზე იკვეთება ის პრიორიტეტული მიმართულებები, რა კუთხითაც სურთ მშობლებს შვილის განვითარება. მომავალში კურიკულუმის შემუშავების პროცესში მშობლებთან ერთად ჩავრთავთ მოსწავლეებსაც და კურიკულუმის დაგეგმვისას სამომავლოდ აუცილებლად გავითვალისწინებთ მათ უკუკავშირს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.09.2023-14.09.2023), რის თანახმადაც სკოლას უკვე აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს გასული წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ფაქტორები, მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, სასკოლო საზოგადოების, მაგ: მშობელთა შეხედულებები. კერძოდ, ის, რომ აქცენტი უნდა გააკეთონ მოსწავლეთათვის დაძლევადი, წინარე ცოდნაზე დაფუძნებული, კომპლექსური დავალებების შეთავაზებაზე. პედაგოგები ასევე საუბრობენ იმის შესახებ, რომ გასული სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული სადიაგნოსტიკო ტესტირებები გარკვეული დასკვნების საფუძველს აძლევთ. რომ კვლავ გააგრძელებენ ამ პრაქტიკას და ჩაატარებენ სადიაგნოსტიკო ტესტირებებს ყველა კლასსა და საგანში, რადგან მათ აქვთ ამ მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის პრაქტიკა. ეს საშუალებას მისცემს მათ წარმატებული პრაქტიკა მომავალშიც გამოიყენონ სასურველი შედეგების მიღწევის მიზნით. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას ადასტურებს სადამრიგებლო პროგრამებიც, სადაც ჩანს, რომ სასწავლო დასაწყისშივე იწვევენ მშობელთა კრებებს, სადაც განიხილავენ სკოლის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის წარმართვის სტრატეგიებს, შეფასების სიტემას და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.შესწავლილი დოკუმენტაცია, კერძოდ, კათედრის ჩანაწერები ცხადყოფს და პედაგოგებთან გასაუბრებისასაც ირკვევა, რომ მასწავლებელები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ისინი ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, კათედრის სხდომებზე მსჯელობენ საკუთარი პრაქტიკის შესახებ, რომელმა კომპლექსურმა გაამართლა, რომელზე მუშაობისას გამოვლინდა პრობლემები, რა რესურსებით შეძლეს შედეგზე გასვლა, კიდევ რა საჭიროებები დადგა მათ წინაშე და როგორ აპირებენ გამკლავებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით ავტორიზაციის პროცესის მხარდაჭერის მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეთავაზებული ქოუჩინგის ფარგლებში მათ შექმნეს კურიკულუმის ჩარჩოები, იმსჯელეს შეფასების სისტემის გამოყენებაზე და ჩამოაყალიბეს სამომავლო ხედვა (რესურსი 12). მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები კურიკულუმის შემუშავებაში გაწერილია კათედრის სხდომის ოქმებსა და სამოქმედო გეგმაში. **სასურველი იქნება,** თუ კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება მეტად იქნება ჩართული. ამისათვის საჭიროა მეტად მოხდეს მათი საჭიროებების გამოკვლევა და შემდგომ გათვალისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის, სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, ფოკუსჯგუფთან მუშაობისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას აკავშირებენ კურიკულუმის, კურიკულუმის შემოშავების მეთოდოლოგიის შექმნის პროცესთან. საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებთან: კათედრაზე, მშობლებთან კი - მიმდინარე სასწავლო პროცესის დროს კურიკულუმში გაწერილი ვადების გათვალისწინებით კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მშობლის ბარათების გამოყენებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ;
- კურიკულუმის ჩარჩოები ;
- საგნობრივი კათედრის სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დანართი N47 კითხვარი მოსწავლეთა -მშობელთა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ჩართული იყო „ახალი სკოლის მოდელში“. ამდენად, მათ აქვთ კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, კარგად იცნობენ სწავლების 5 საგანმანათლებლო პარადიგმას, გააზრებული აქვთ სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებზე აგებული კონსტრუქტივისტული პრინციპები. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმის ჩარჩო დაწყებითი კლასების (I-IV) თითქმის ყველა საგანში შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი წინა სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური

დავალების თემატური მატრიცები, სადაც ეტაპებად გაწერილია დავალება თავისი ამოცანებით, ცხადყოფს, რომ ისინი მიემართება შესაბამისი საგნის გრძელვადიან მიზანს - სამიზნე ცნებისა დამუშავებას და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას კონკრეტული თემის გარგლებში. **სასურველია, წარმოდგენილ** კურიკულუმს დაერთოს თითეული კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეზე მორგებული სასწავლო სასწავლო პროცესის ამსახველი დეტალები, მათ შორის სსსმ მოსწავლისთვის შექმნილი/ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს ისეთი კომპლექსური დავალებების შეთავაზებას, რომლის ფარგლებშიც მოხდება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხის ფარგლებში. ამისთვის კი, პირველ რიგში, პედაგოგებმა გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარების ჭრილში უნდა დაინახონ საკითხები, გაიაზრონ მათი მნიშვნელობა და აღიქვან სასწავლო გარემოს მახასიათებლად, რისთვისაც უნდა გაეცნონ შესაბამის დოკუმენტებს, მათზე დაყრდნობით დააკვირდნენ და განსაზღვრონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. ინტერვიუს პროცესში ირკვევა, რომ ამ უნარების გასავითარებლად ისინი ხშირად მიმართავენ პროექტულ სწავლებას, რაც ასევე წარმოადგენს კურიკულუმის ნაწილს. მაგ. დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთი პედაგოგი კათედრაზე უზიარებს კოლეგებს პროექტული სწავლების გამოცდილებას და აცნობს განხორციელებული პროექტების „სუფთა გარემო ჩვენი უფლებაა“ და „ჩვენ ტოლერანტები ვართ“ ფარგლებში მოსწავლეთა მიერ გამომუშავებულ ფუნქციურ უნარებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესის დროს სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები; მულტიდისციპლინალური გუნდის შეფასების ფორმაში ნათლად ჩანს,რომ სკოლას აქვს მცდელობა განათლება ხელმისაწვდომი გახადოს სსსმ მოსწავლისათვის,ამ შემთხვევაში მიმართვის მიზეზია სსსმ მოსწავლის ხელახალი შეფასებისათვის პირადი ასისტენტის დანიშვნა. სკოლა, რომ სათანადო ყურადღებას აქცევს ინკლუზიურ მიდგომებს,ნათლად ჩანს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმში, რომლის დღის წესრიგია: სოფელ ბადიაურის სკოლაში ინკლუზიური განათლების მონიტორინგის შედეგების განხილვა“ სკოლას წარმოდგენილი აქვს აგრეთვე ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: „სასწავლო პროცესში აქტიურად ვიყენებთ დიფერენცირებულ მიდგომებს, გაკვეთილზე ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის დროს ყველა ბავშვს ეძლევა სასწავლო პროცესში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა, კომპლექსური დავალების განხორციელების დროს ხდება დავალებების დიფერენცირება მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით, გამოყენებული რესურსები მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.“ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს: „კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებზე ვახდენთ ამ საკითხის განხილვას და პრაქტიკაში დანერგვას. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესში ვიყენებთ დიფერენცირებულ მიდგომებს, საჭიროდ ვთვლით, რომ უფრო მეტი დრო დავუთმოთ ამ საკითხს.

გავეცნობით მეთოდურ მასალებს და კურიკულუმების შედგენისას მეტ ყურადღებას გავამახვილებთ დიფერენცირებულ მიდგომაზე, რათა განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს ყველა მოსწავლისთვის.“

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ნიმუშები, სადაც, მაგ: მოსწავლეებს ქართულ ენაში მიეცათ დაცალება: „დახატე/გამოძერწე „აი იას“ ერთ-ერთი სასურველი პერსონაჟი“.„ან კიდევ მათემატიკაში: „დაეხმარე ნინის დაჭრილი ზოლებით ნახატის შექმნაში“, ასევე ბუნებისმეტყველებაში: „წარმოიდგინე ,რომ ხარ ფერმერი . ფოტოზე მოცემული ცხოველებიდან შეარჩიე შენთვის სასურველი ცხოველები, რომელიც შეიძლება გყავდეს ფერმაში. ციფრული რესურსის „ვსწავლობთ თამაშის გამოყენებით ‘’ შეურჩიე ცხოველებს თავშესაფარი და შექმენი შენი ფერმის ამსახველი ნახატი.“ ნიმუშები განკუთვნილია პირველი კლასისათვის, თუმცა, ამგვარი ნიმუშები მრავლადაა სხვა კლასებისთვისაც დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა საგანში. ნიმუშებს თან ახლავს სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. დაწვრილებითაა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები პრესტრუქტურული, უნისტრუქტურული, მულტისტრუქტურული, მიმართებითი და აბსტრაქტული დონისთვის. ასევე, ქოუჩინგის პროცესში შევსებულ მე-12 დოკუმენტში ვკითხულობთ: „ამ ეტაპზე შევარჩიეთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი - დავალების განმავითარებელი რუბრიკა;“ აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მზად არის გამოიყენოს შეფასების ის მექანიზმები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ვერსიები, რომლებიც ,ახალი სკოლის მოდელის“ ქოუჩინგის დროს მიღებული გამოცდილების საფუძველზე შექმნეს. თვითშეფასების ფორმაში სკოლა წერს: „ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ვითვალისწინებთ წინარე ცოდნის გამოცდილებას და ამის მიხედვით ვადგენთ მომავალი წლის კურიკულუმს. ვითვალისწინებთ კლასის დონეს, შესაძლებლობებს, უნარებს, დროის მენეჯმენტს . 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრაზე მოვახდენთ წინა სასწავლო წელს განხორციელებული კურიკულუმების შედეგების ანალიზს, ანალიზის შედეგად გამოვავლენთ ჩვენ მიერ გაწეული მუშაობის სუსტ და ძლიერ მხარეებს და დავსახავთ სუსტი მხარეების გასაუმჯობესებელ გზებს, რაც აისახება მომავალი წლის კურიკულუმში.“ მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს: სასწავლო წლის დასასრულს გააკეთეს მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი და ცვლილებები შეაქვთ ახალშემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში. ახდენენ თემების განხილვას, იზიარებენ წინარე გამოცდილებას, აანალიზებენ რომელი აქტივობა იმუშავებს კარგად და რომელი არა. თითო თემა რამდენიმე საკითხს მოიცავს, ამიტომ მასწავლებლებს სურთ მოსწავლეთა ინტერესებიც გაითვალისწინონ და იმ საკითხებზე

განახორციელონ კომპლექსური დავალება, რომლებითაც უფრო მეტად დაინტერესდებიან მოსწავლეები. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და გამოცდილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
საგნობრივი კურიკულუმები.
სკოლის თვითშეფასების ფორმა.
დანართი 3 განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
დანართი 17 ბრძანება ი.ს.გ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
დნართი 34 მულტიდისციპლინური გუნდის შეფსების ფორმა
დანართი 35 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის სხდომის ოქმი
დანართი 36 ი.ს.გ
დანართი 49 (მკითხველთა წრის გეგმა)
 დანართი 50 (დიფერენცირებული კომპლექსური დავალება)
დანართი 51 (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები)
დანართი 45 პროექტი „შემაფასე ობიექტურად ,რომ ვიცხოვრო ღირსეულად“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმებში გათვლილი თემები, საკითხები, აქტივობები ისე უნდა იყოს გაწერილი, რომ მოსწავლეებს შინაგან მოტივაციის ამაღლებას უწყობდეს ხელს. წარმოდგენილი კურიკულუმებში ჩაშენებულია ისეთ კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლე განიხილება, როგორც ცენტრალურ ფიგურა, უწყობს ხელს მათი (მოსწავლეთა) შინაგანი მოტივაციის ამაღლებას, რაცა ასევე, შემოქმედებით პროცესში ჩართულობას განაპირობებს. საგნობრივი კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე განხორციელებული კომპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა, შევაფასოთ, თუ როგორ და რამდენად შემოქმედებითად წარიმართება სასწავლო პროცესი მომავალში, მასწავლებლის პორტფოლიოს დახმარებით, ასევე ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლაში მასწავლებელი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შემოქმედებითად შეასრულონ დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმებისს ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა ისაუბრა დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა -სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კომპიუტერული ტექნოლოგიები) მასწავლებელს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი და ისახავს

კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით, რაც გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ, სწავლა-სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლებს ფიქრისაკენ უბიძგებს. კითხვები - „რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან ?“ - საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროცესს და გააანალიზონ, რა ფაქტორები ახდენს მათზე გავლენას, რა ეხმარებათ სწავლაში. მოსწავლეები ადგენენ და ავსებენ ცხრილებსა და დიაგრამებს, ახალი ინფორმაციას სხვადასხვა სქემებში განათავსებენ, ახარისხებენ მიღებულ ინფორმაციას. ეს კი მათ უადვილებს გააზრების პროცესს. მოსწავლე ეჩვევა კოგნიტური სქემებით აზროვნებას და ცოდნის ორგანიზებას, რაც მეტაკოგნიტურ უნარებს უფრო ააქტიურებს. ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობენ ხარვეზების გამოსწორების გზებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ა ვთქვათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება უმეტეს წილად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. თუმცა უცხოურ ენებში პირველ ეტაპზე სკოლამ წარმადგინა განზოგადებული განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები, ხოლო დამატებით დოკუმენტაციის გამოთხოვის შემდეგ, დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასები) სკოლას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/რუბრიკები, სადაც მკაფიო იქნებოდა მიმართება რუბრიკებსა და გრძელვადიან მიზნებს შორის. ხოლო დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის შემდეგ, წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელის რუბრიკა. ინტერვიუს დროს უცხოური ენების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სკოლას არ შეუცვლია შეფასების მოდელი, შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკას ვერ მივიჩნევთ შესაბამისად. რეკომენდებულია, შეიქმნას ახალი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ინდივიდუალურად შუალედურ მიზნებთან მიმართებით და აგრეთვე შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებით. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, აქაც გვაქვს განზოგადებული შეფასები რუბრიკა, რომელიც ვერ ზომავს მოსწავლის მიღწევებს, შესაძლებლობებსა და განვითარებას შუალედური მიზნიდან შუალედურ მიზნამდე. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს გაუმჯობესებას, რომ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს მიმართებები გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს

5..კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის დაწყებითი საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან მრავალფეროვანი აქტივობებში, რომელთა საშუალებითაც ცხოვრებისეული კონტექტებიდან გამომდინარე ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა ისაუბრა კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. წარმოდგენილი ინტეგრირებული გაკვეთილი/გაკვეთილები ასევე ცხადყოფს, ცოდნის მრავალმხრივ გააზრებასა და ურთიერთდაკავშირებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
დანართი 52 პროექტი -ჩვენ ტოლერანტები ვართ
საგნობრივი კურიკულუმები;
დანართი 9 პროექტი -„გაცვალე მაკულატურა წიგნზე
დანართი 53 (ასოციაციური სქემები)

- მასწავლებლის პორტფოლიო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დანართი 12 მათემატიკის კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმები
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა მათემატიკა და ისტი მე-4 კლასი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საგნობრივი სტანდარტების გათვალიწინებით, რაც თავის მხრივ გულისხმობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მაგ. პირველ უცხოურ ენაში წარმოდგენილი შუალედური მიზნები იმგვარად არის შერჩეული, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და ქვეცნება. აგრეთვე, სასწავლო წლის განმავლობაში შემოთავაზებული თემები და ქვესაკითხები ეხმარება მოსწავლეს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება მეორე უცხოურ ენას, წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შემოთავაზებულია მხოლოდ ერთი თემა და შუალედური მიზანი, შესაბამისად რთულია ვთქვათ, რომ ისევე როგორც პირველ უცხოურ ენაში, მეორე უცხოურ ენაშიც მუშავდება სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოში გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები (საკითხთა კლასტერი), რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. უმეტეს შემთხვევაში გამოკვეთილია ქვეცნებები, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა საინტერესო აქტივობას, პროექტებს, კლასის საათებს, რომლის ფარგლებშიც ქმნიან სხვადასხვა პროდუქტს, აწყობენ გამოფენებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სწავლის პროცესი ორიენტაცირებულია შემდეგ კომპეტენციებზე: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: „რა გამოგივიდა კარგად? რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან “? და ა.შ. რაც ეხმარება მოსწავლეს, შეაფასოს საკუთარი

და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს პატივისცემა სხვების აზრის მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა და აიღოს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სწავლების დაწყებით საფეხურზე შეფასებაში გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, მათ შედგენაში კი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ჰოლისტურ გავითარებას. მასწავლებელთა მიერ ზეპირი, კომპლექსური დავალებების შეფასებისა და სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებული განმავითარებელი შეფასებები, რომელიც წინასწარ შედგენილ რუბრიკას ეფუძნება, ცალსახად მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ დავალების შინაარსის შეთანხმებას მოსწავლეებთან, რათა მიზნობრივად შეირჩეს ინსტრუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს ერთ მხირვ საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მეორე მხრივ მოსწვალეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მასწავლებლები, დიდ ყურადღებას აქცევენ შეფასების ვალიდურობასა და სანდოობას, რამდენად სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აღინიშნა, რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტებს წარმოადგენენ მეთოდოლოგიურ დანართში, გარდა ამისა გამოკვეთენ, რომ კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის შექმნისას დაეყრდნობიან დავალების კრიტერიუმებს, შესაბამისად მოსწავლისთვის მკაფიო გახდება დავალების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმი. სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით იქნება წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მეთოდოლოგიური დანართში. .სკოლაში შემუშავებული მიდგომების მიხედვით, რაც იკითხება კათედრის ოქმებიდან თუ მასწავლებელთა პორტფოლიოებიდან, ყველა სასწავლო აქტივობა მიმართულია მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ობიექტური, განჭვირვალე, ვალიდური და სანდოა. შეფასების რუბრიკაში ასახულია, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების კრიტერიუმები. შეფასების სქემა მკაფიოა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. მოსწავლემ წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. მოსწავლეები თვითონაც მონაწილეობენ რუბრიკების შექმნაში. კრიტერიუმები გამოკრულია კლასში. მოსწავლის წინსვლისთვის იყენებებენ ძირითადად განმავითარებელ შეფასებას. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. სკოლაში განხორციელდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა განმავითარებელი შეფასების სიღრმისეულ ანალიზს და დანერგვას, ამ მიზნით შეიქმნა კითხვარები მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით შექმნეს შეფასების კრიტერიუმები.

დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ შეფასება მართლაც ვალიდურია (მიზანთან შესაბამისია), მოსწავლეებს დაწყებით საფეხურზე, ძირითადად, უკვე მკაფიოდ აქვთ გაცნობიერებული, რომ მათ თავიანთი ნაშრომის შეფასება უნდა იცოდნენ ზუსტად და იქამდე, სანამ დავალებაზე დაიწყებენ მუშაობას. მასწავლებლები ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ სკოლაში ხდება შეფასების ძირითადი პრინციპების დაცვა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით აღარ არის სამუშაო. პირიქით, მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ ამ მიმართულებით ბევრი მუშაობაა საჭირო. შესამუშავებელია შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი მექანიზმი, რომელიც სისტემაში მოაქცევს შეფასების არსებულ რუბრიკებსა და მასწავლებელს მისცემს საშუალებას საფეხურებზე განახორციელოს გრძელვადიანი შეფასება, მათ შორის განმავითარებელი შეფასების მიმართულებით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.09.2023-14.09.2023), რის თანახმადაც სკოლას უკვე აქვს ვერიფიკაციის მექანიზმის შემცველი/ამსახველი დოკუმენტი.**
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების თანახმად, კათედრის სხდომის ოქმები, მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების პროდუქტები ინახება არანაკლებ სამი წლის ვადით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 19 სექტემბრის N 2 -58 ბრძანება ვერიფიკაციის მექანიზმების დამტკიცების შესახებ

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის
- მასწავლებელთა ინტერვიუ
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მასალებში ვლინდება თითოეული მოსწავლისთვის თვითრეალიზებისთვის ხელშემწყობი გარემო;
შექმნილი კურიკულუმები იძლევა საშუალებას გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისას;
სკოლის ბაზაზე არსებობს სხვადასხვა დოკუმენტი კათედრაზე განხორციელებული აქტივობების, რომელიც ადასტურებს რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე და მასწავლებელი, კათედრის წევრები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია) არსებობს თანამსრომლობითი გარემო. აღნიშნულ დებულებას ადასტურებს სკოლის მისია და ხედვა, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებული; ასევე სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის;
ვლინდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა სკოლის განვითარებაში, რომელიც ეფუძნება გაზიარებულ პასუხისმგებლობას;
მასწავლებელებს შორის ხდება: თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. ისინი სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე.
სასკოლო ცხოვრების თანამშრომლობითი პროცესი, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით მიმღებლობის და ღიაობის მტკიცებულებაა.
სკოლა ხელს უწყობს მამოტივირებელი გარემოს შექმნას და უნივერსალური დიზაინის პრინციპის დანერგვას ნებისმიერი უნარის მქონე მოსწავლეებს, ეხმარებიან არაქართულენოვან მოსწავლეებს , რომლებიც სკოლაში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, მათთან სახელმწიფო ენის სრულყოფილად დაუფლების მიზნით მასწავლებლები იყენებენ რემედიაციას, პატივს ცემენ მათ ტრადიციებს და წეს- ჩვეულებებს.
არაქართულენოვანი მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო კლუბებში, სოციალურ პროექტებში. სამომავლოდ სკოლა აპირებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნის მიზნით არაქართულენოვან სკოლებთან აქტიურ თანამშრომლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კომპლექსური დავალებების, გაკვეთილების სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობები. მოსწავლეები ჩართულნი არიან როგორც სასკოლო, ასევე სოციალურ პროექტებში, მონაწილეობას იღებენ მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლის მიერ გამოცხადებულ ხატვისა და სხვა კონკურსებში, მოპოვებული

აქვთ სიგელები. ეწყობა სასწავლო ექსკურსიები, ვიზიტები თეატრებში შემეცნებითი კუთხით , განხორციელებული ღონისძიებების და აქტივობების მასალები იტვირთება სკოლის სოციალურ ქსელში. ამას ადასტურებს მრავალფეროვნაი სასწავლო რესურსები და მეთოდები. სკოლა თანამშრომლობს პროექტთან ,,ეტალონი" , რომლის საშუალებითაც ხდება სკოლაში განხორციელებული აქტივობების გაზიარება სოციალურ ქსელში.

სკოლა ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს ზრუნვასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობილ თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. ამ მიმართულებების დასამკვიდრებლად იყენებენ ჯგუფურ სამუშაოებს, კომპლექსურ დავალებებს, დისკუსიებს, ჯგუფურ პროექტებსა და პრეზენტაციებს, შემეცნებით და სპორტულ აქტივობებს. ურთიერთანამშრომლობის კულტურის ამაღლების მიზნით მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, გაკვეთილების დაგეგმვა ხდება ერთობლივად, კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებზე. მასწავლებლები კათედრებზე და კათედრებს შორის გამოცდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. სკოლა ჩართულია საბაზო განათლების პროექტში, იქ გაცნობილ სიახლეებს პედაგოგები აქტიურად უზიარებენ კოლეგებს.

სკოლის თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით სამომავლოდ იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.პოზიტიური კლიმატის უზრუნველსაყოფად ფუნქციები და მოვალეობები გადანაწილებულია თანაბრად სასკოლო საზოგადოებაში, კლასის ქცევის წესების შემუშავებისას მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი. თითოეული მოსწავლის ინიციატივა აღიარებული, მიღებული და წახალისებულია. იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება და აქტივობა, მიკუთვნებულობის გრძნობისა და თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად. სკოლის შიდა ინტერიერი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხოებას, სკოლაში შემუშავებულია უსაფრთხოების დებულება და ევაკუაციის გეგმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N 49

დანართი N55 და დანართი N56

დანართი N49 (აზერბაიჯანელი მოსწავლეებისთვის კითხვის შემსწავლელი წრის გეგმა)

დანართი N55 (კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა 1)

დანართი N56 (კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა 2)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმების დანერგვის მონიტორინგისათვის სკოლის დირექცია აკვირდება სასწავლო პროცესს, თუ რამდენად სწორად და მიზანმიმართულად ხორციელდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებები. ამ მიზნით გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფორმა. შეფასების ინდიკატორები შეესაბამება ესგ-ს სტანდარტს და არის გამჭვირვალე. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხდება სისტემატიურად. დაკვირვება ხდება ფოკუსირებულად კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებზე.
სკოლაში ხდება მონიტორინგი, როგორც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი, შეფასება წარმოადგენს, როგორც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მტკიცებულებას. სკოლაში არსებობს ,,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც

ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. სკოლის პერსონალთან ინტერვიურების პროცესში იკვეთება, რომ სკოლა მუშაობს იმგვარი დოკუმენტის შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში. ხორციელდება დირექციის მიერ გაკვეთილზე დასწრება და უკუკავშირი, სამუშაო შეხვედრები ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას. მასწავლებელთა რეფლექსიები და თვითრეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში, ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმების შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენასა და მხარდაჭერას. მათი გათვალისწინებით შეიძლება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად კურიკულუმში ცვლილებების შეტანა, კომპლექსური დავალებების მორგება კლასის ან კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N 57

დანართი N 58

დანართი N 57 (დირექტორის მოადგილის დაკვირვება კომპლექსური დავალების განხორციელებაზე)

დანართი N 58 (დირექტორის გაკვეთილზე დაკვირვება და უკუკავშირი)

კურიკულუმი

შეფასების მასალები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა შეფასებისას იყენებს თითოეული საგნის სტანდარტის ფარგლებში კათედრებზე შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული კვლევების გამოცდილება, სადაც იკვეთება, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, რომელიც ასახავს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებას მოსწავლეთა შეფასებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის დონე და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. განაზოგადებენ დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. აგამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემო, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში, რომლის შექნაზეც სკოლა ახლა მუშაობს, ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
კათედრის ოქმები;
მოსწავლეთა ნამუშევრები.
მასწავლებელთა რეფლექსიები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ,,ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში. ახალი კურიკულუმის შემუშავებამდე სკოლა გეგმავს მისი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და ამ გამოცდილების გათვალისწინებით პასუხისმგებლობის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მის ყველა დონეზე: ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით, USAID საბაზისო განათლების პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ამსახველი მასალებით (ოქმები, გაკვეთილებზე დაკვირვება, მსჯ შეხვედრები, პორტალ chemiskola.ge-ზე ატვირთული მასალებისა და სასწავლო რესურსების გამოყენება) და ა.შ, რაც გათვალისწინებულ იქნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შესაქმნელად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
საგნობრივი კურიკულუმები;
კათედრის ოქმები;
მოსწავლეთა ნამუშევრები.
მასწავლებელთა ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

2. სასკოლო კურიკულუმი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, ამ ეტაპზე, შემუშავებული აქვს კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის პროექტი, რომლის საბოლოო ვერსია დამტკიცდება ახალი სასწავლო წლის დადგომამდე. საბაზო საფეხურის კათედრის პედაგოგები ურთიერთშეხვედრებისას აანალიზებენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების სტრუქტურასა და პრინციპებს. ისინი აცნობიერებენ, რომ ამ პროცესში უნდა გამოიყენონ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც მათ მთელი სასწავლო წლის მანძილზე დაუგროვდათ და ერთობლივად განსაზღვრონ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. როგორც პედაგოგები აღნიშნავენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.09.2023-14.09.2023), რის თანახმადაც სკოლას უკვე აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის შედგენისას მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს,აანალიზებენ მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირს. მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივით ტარდება საგანმანათლებლო, სოციალური კულტურული ღონისძიებები და სხვადასხვა პროექტები, შექმნილია მკითხველთა წრეები. სკოლა აქტიურად გეგმავს სასკოლო სასწავლო გეგმა ააგოს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ჩართოს კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყველა მხარე.
საბაზო საფეხურზე არჩევითი საგნების შეთავაზება ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივით ტარდება საგანმანათლებლო, სოციალური კულტურული ღონისძიებები და სხვადასხვა პროექტები. მოსწავლეთა თვითმმართველობა ახორციელებს ღონისძიებებს სასკოლო საზოგადოების და თემის ჩართულობით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილია კურიკულუმის განვითარების პრინციპები, სადაც იკითხება, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა საგნობრივ კათედრებზე მოხდა კურიკულუმების შემუშავება, სადაც გაიწერა საგნების მიხდვით გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, შეირჩა სასწავლო თემები და თემებიდან გამომდინარე კომპლექსური დავალებები. მასწავლებლებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა შედეგები. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები.ელექტრონული ფოსტა,დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა,სოციალური მედია,ბეჭვდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. სკოლაში არსებობს საგნობრივი და სასკოლო კურიკულუმის გაზიარების შემდეგი საშუალებები: შეხვედრები მშობლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა ბარათები, რომლებსაც აწვდიან სოციალური ქსელის დახმარებით (მესენჯერის ჯგუფში). კურიკულუმში ცვლილებების შემთხვევაში ასევე აწვდიან მშპბლებს ინფორმაციას. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლაში განხორციელებული აქტივობების გასაჯაროვება, ასევე შექმნილია სოციალური ქსელის ონლაინ ჯგუფები დირექციასა და თანამშრომლებს, მშობელთა და პედაგოგებს შორის. სამომავლოდ იგეგმება ინფორმირებულობის ხარიხის გაზრდა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი N3 კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
სკოლის თვითშეფასების განაცხადი
დანართი N 35 (კომპლექსური დავალების ბარათი მშობლისთვის)
დანართი N53 (კომპლექსური დავალების ბარათი მშობლისთვის სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში)
დანართი N 37 (მშობელთა კრების ოქმი)
დანართი N 48 (მკითხველთა წრის გეგმა)
დანართი N 45 (მშობელთა კრების ოქმი)

დანართი N 46 (პროექტი ,,მონაწილეობა სასკოლო სივრცის კეთილმოწყობაში'')
დანართი N 44 (შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა)
სასკოლო სასწავლო გეგმა
დანართი N 36

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებსა და სასწავლო პრინციპებს. დოკუმენტაციის, კონკრეტული კომპლექსური დავალების გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. ამგვარი მიდგომის დასადასტურებლად ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური და კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალებაზე. გამოყვეს კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მათი აზრით ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის განვითარებასა და სასწავლო პროცესში მათ ჩართულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ინტერვიურებისას აღინიშნა, სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო შესაძლებლობას იძლევა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებას. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები პედაგოგთა მხრიდან (გასაუბრებისას გაანალიზებული კონკრეტული დავალების პირობა, კონკრეტული აქტივობა) განიხილება გრძელვადიან სასწავლო მიზნებად, რომლებიც უნდა დაუკავშირდეს საფეხურის

სასწავლო შედეგებს და შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით ხელი შეუწყოს სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საგნობრივი კათედრები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის თავისებურებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს, შესაბამისად გეგმავენ და ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესს. პედაგოგთა მოსაზრებით, აუცილებელია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. სკოლისთვის მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლის სსსმ მოსწავლე გადადის საბაზო საფეხურზე და მასწავლებლებს აქვთ სათანადო მზაობა კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებისა და მოსწავლის სასწავლო პროცესში სრულად ინტეგრირებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა გეგმავს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სრულყოფას. პედაგოგებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურუკულუმების დაგეგმვისას ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. პედაგოგები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კათედრების სხდომებზე აანალიზებენ უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, და ამის შემდეგ ცდილობენ შეიმუშაონ ახალი დავალებები და სამოქმედო გეგმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 47 (მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა კითხვარი)

დანართი N38 შეფასების რუბრიკები

დანართი N17 ბრძანება ი.ს.გ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

დნართი N34 მულტიდისციპლინური გუნდის შეფსების ფორმა
დანართი N35 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის სხდომის ოქმი
დანართი 36 ი.ს.გ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.
დანართი N 49 (მკითხველთა წრის გეგმა)
დანართი N 50 (დიფერენცირებული კომპლექსური დავალება)
დანართი N 51 (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები)
დანართი N 45 პროექტი ,,შემაფასე ობიექტურად ,რომ ვიცხოვრო ღირსეულად"

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს არაფორმალური განათლების და მოსწავლეთა თვითმართველობის აქტიურობას. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კონტექსტ-მაგალითებიც იძლევა ამის საშუალებას. ასევე კომპლექსური დავალების იდეებიც.შემოქმედებითობა ვლინდება კურიკულუმში მაგ: კონტექსტ-მაგალითები, რომლის საფუძველზე მოსწავლე აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით; ასევე ვლინდება შემოქმედებითი ტიპის კომპლექსური დავალებები მისი პროდუქტებით მაგ: ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.
 მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა გამოჩნდა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან და ასევე ჩანს სკოლის დოკუმენტაციაში, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ეხება; ორიენტაცია მაღალ სააზროვნო უნარებზე; მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში აგების პრინციპი მოცემულია თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების, კურიკულუმში დამუშავებულია ყველა თემა. ასევე ფიქსირდება კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი იგეგმება ისეთი სტრატეგიებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეს საკუთარი თავის შესწავლასა და თვითრეგულირებაში. კომპლექსური დავალებებით საგნობრივ ცოდნის მიღებასთან ერთად, ახორციელებენ ისეთ სტრატეგიებს, რომელიც მოსწავლეს ეხმარება ცოდნის კონსტრუირებასა და პრაქტიკაში გამოყენებაში. მეტაკოგნიციის წარმართვის საშუალებას იძლევა საგნობრივი კურიკულუმი დაგეგმილი პროცესით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და საგნობრივი კურიკულუმიდან საბაზო საფეხურზე ვლინდება მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები, რომლებიც ეყრდნობა ცოდნის სამ კატეგორიას. კომპლექსური დავალების ყველა პროდუქტი (პოსტერები, ინტერვიუ, ბუკლეტები, წერილები, მოდელები, მაკეტები, ელ.რესურსები, წერილები, დღიურები, თხზულებები, ხელნაკეთი ნივთები) ეყრდნობა ცოდნის სამივე კატეგორიას.

ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის ყველა საკითხზე იქნება აგებული კომპლექსური დავალების იდეა და იქნება ყველა თემაში დამუშავებული ამის საფუძველზე ყველა ცნება. ასევე ყველა თემაზე იქნება შეფასების რუბრიკები შექმნილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით ასევე საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმა
საგნობრივი კურიკულუმები
სკოლა თვითშეფასების ფორმა
დანართი N 53 (ასოციაციური სქემები)
დანართი N70 (ინტეგრირებული გაკვეთილი)
კომპლექსური დავალების ბარათები
დანართი N 46 (პროექტი ,,მონაწილეობა საკოლო სივრცის კეთილმოწყობაში'')

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო საზოგადოება სამიზნე ცნებების, თემების, საგნობრივი საკითხების, საფეხურის საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირს, იაზრებს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგების ძირითადად საგანმანათლებლო პრინციპად და საშუალებად. პედაგოგები თვლიან, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ შეძლებენ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და გაცნობიერებას. კომპლექსური დავალებების ანალიზისთვის სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი პრობლემები, განსახორციელებელი აქტივობები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, კონტექსტმაგალითები, მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ სოციო-ემოციური განვითარების დონეს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა ცდილობს მოსწავლეები ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით ჩართონ სასწავლო პროცესში. სექტემბრისთვის სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემისათვის, შემაჯამებელი დავალებებისათვის შეიმუშავებს და დახვეწს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეძლებისდაგვარად გააანალიზებს მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო ემოციური).
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.პედაგოგთა თქმით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კომპლექსური დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის შემუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები შეეცდებიან თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსასაზღვრად.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის ამუშავებას. 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის შექმნა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.09.2023-14.09.2023), რის თანახმადაც სკოლას უკვე აქვს ვერიფიკაციის მექანიზმის შემცველი/ამსახველი დოკუმენტი.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ ერთი წლის ვადით მატერიალური სახით, ელექტრონულად ამ ინფორმაციის დიდი ნაწილი დაცული იქნება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხანგრძლივი ვადით, საკუთრივ სკოლის მიერ შექმნილი ელექტრონული დოკუმენტაციის შენახვის ვადა იქნება არა ნაკლებ სამი წლისა. სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 41 (პროექტი ,,კაკლების ბაღი'')

დანართი N 42(პროექტი - ,,შემაფასე ობიექტურად'')

დანართი N38 (შეფასების რუბრიკები)

საბაზო საფეხურის კურიკულუმი

თვითშეფასების გამნაცხადი

დასტურდება (მტკიცებულებები):

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში და კათედრის მიერ განხორციელებული სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა შემუშავება ხდება პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობის გზით, რათა, როგორც თავად აღნიშნავენ, ერთობლივად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრისას, მიანიშნებს იმაზე, რომ

ასეთი ურთიერთდამოკიდებულება სავარაუდოდ ასახვას ჰპოვებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნის პროცესში და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ ზრდასა და მათი ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.კათედრა თვლის, რომ სასაწავლო პროცესის კონსტრუქტივისტული მეთოდიკით დაგეგმვა გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. პედაგოგები აღნიშნავენ მოსწავლეთა დაინტერესებას ისეთი დავალებებით, რომლებიც უკავშირდება მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას შეეცდებიან შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მათ აკადემიურ შესაძლებლობებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას პრიორიტეტად მიიჩნევენ ურთიერთანამშრომლობასა და საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ. სკოლა ასევე ჩართულია USAID-ის საბაზო განათლების პროექტში. სამუშაო შეხვედრებისას მიღებულ გამოცდილებას პედაგოგები უზიარებენ თავიანთ კოლეგებს
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. ყურადღება ექცევა პედაგოგთა და მოსწავლეთა საინტერესო აქტივობების წახალისებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი N43 (ეტალონის დიპლომი მასწავლებელს)
სასკოლო სასწავლო გეგმა
თვითშეფასების განაცხადი

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად განახორციელოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ,მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის, სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კონკრეტულად გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით,ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის

გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში?(მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი?(შეფასება). სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა - ანალიზზე დაფუძნებით ,რომელშიც ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები.სკოლას აქვს სამომავლო ხედვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები

სკოლის თვითშეფასების ფორმა

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მომავალი საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი

მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს: სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ: „სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესების ეფექტურობის კვლევის მიზნით სამომავლოდ შეფასების ერთ-ერთ წყაროდ გამოვიყენებთ სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ თვითშეფასების ციფრულ პლატფორმას, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ თვითშეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში; ასევე პერიოდულად დირექცია მოახდენს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვებს მათი აზრის შესასწავლად. "მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის , უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას, სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო -სასწავლო გეგმა

საგნობრივი კურიკულუმები

სკოლის თვითშეფასების ფორმა

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1.წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გამოწვევად მიაჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება, რადგან სასკოლო საზოგადოებას ნაკლები გამოცდილება აქვს, თუ როგორ მოახდინონ კურიკულუმის განხორციელებისას მიმდინარე ანალიზი და რეფლექსია. სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის კუთხით. აპირებენ განხორციელებული კომპლექსური დავალებების სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით შეადგინონ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები იზიარებენ ადმინისტრაციის შეხედულებას ამ საკითხზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას კურიკულუმის რევიზიის დიდი გამოცდილება არ აქვს, ამდენად მას მხოლოდ ამ პროცესების განვითარების ხედვა გააჩნია. კურიკულუმის განხორციელების პროცესში კათედრები რეკომენდაციებს შეიმუშავებენ დირექციის აქტიური

თანამონაწილეობით. საჭიროებების გათვალისწინებით გამოკვეთილია ხარისხის მართვის გუნდის ფორმირების აუცილებლობა, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და გამოიკვლევს მიზეზებს.
საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, შერჩეული აქვთ შესაბამისი თემატური მატრიცები დავალებების ბანკიდან. მასწავლებლრებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე არ აქვთ იმ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ისინი გეგმავენ, რომ გადამუშავებული ვერსია სკოლის კათედრებს ექნება 2023-24 სასწავლო წლის ბოლოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის პროექტი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, ასევე რა პრინციპებით და რა ეტაპების გავლით მოხდება კურიკულუმის განვითარება. დოკუმენტიდან იკითხება, რომ სასკოლო კურიკულუმი შედგენილია ყველა საფეხურისთვის და მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებსა თუ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და მისი განახლება მოხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი იძლვა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.09.2023-14.09.2023), რის თანახმადაც სკოლას უკვე აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.დაწესებულების მიერ შემუშავებული, შემდგომში წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტიდან გამომდინარე სკოლა აპირებს განსაზღვროს, მოსწავლის განვითარების გზა, გრძელვადიან მიზნები, რომლებიც ემსახურება ამა თუ იმ საგნის სწავლების სწავლას, სასკოლო პროექტების განხორციელება, დამატებით საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზება მოსწავლეებისთვის, მშობელთა ჩართულობა რაც დასტურია იმისა, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილია კურიკულუმის განვითარების პრინციპები, სადაც იკითხება, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა საგნობრივ კათედრებზე მოხდა კურიკულუმების შემუშავება, სადაც გაიწერა საგნების მიხდვით გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, შეირჩა სასწავლო თემები და თემებიდან გამომდინარე კომპლექსური დავალებები. მასწავლებლებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა შედეგები. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო კურიკულუმის გაცნობის მიზნით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად სკოლა გამოიყენებს ვებ გვერდს, სკოლის ფეისბუქ გვერდს, ელექტრონულ ფოსტას, დოკუმენტების ელექტრონულ ბრუნვის სისტემას, ბეჭდვით მასალებს, საჯარო ღონისძიებებს. სკოლის მისიის, ხედვისა და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოოგიის სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარდება, კვლევები, მონიტორინგი რის საფუძველზეც შეიქმნება დოკუმენტი, რომელიც გაზიარებული იქნება ყველა დაინტერესებულ პირთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი N 35 (კომპლექსური დავალების ბარათი მშობლისთვის)
დანართი N 36 (სცენარი გადავარჩინოთ დედამიწა)
დანართი N 37 (მშობელთა კრების ოქმი
სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 14 სექტემბრის N2-54 ბრძანება სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება,საკითხი/საკითხთა კლასტერები, კომპლექსური დავალების იდეები,მითითებულია აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება. მითითებულია სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; თვითშეფასების მიხედვით დაწყებით საფეხურზე ,,კომპლექსური დავალებები, პროექტები ,რაც მასწავლებლებმა განახორციელეს საკუთარ კლასებში, ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს . გაწერილი კომპლექსური დავალებების შედგენისას თემატურ მატრიცებში გათვალისწინებულია გლობალური უნარები, მაკრო ცნებები და სამიზნე ცნებები. მაგალითად მატრიცებში ვითვალისწინებთ ისეთ აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეთა შემოქმედებითი და სხვა უნარების განვითარებას ემსახურება (ნახატის, მაკეტის, პოსტერის შექმნა, ჯგუფური პრეზენტაცია, ბროშურების შექმნა) კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარებისთვის ტარდება დისკუსიები, პროექტები, საწრეო მუშაობა . სამიზნე ცნებების სრულად დაფარვის მიზნით მომავალში გაიზრდება კომპლექსური დავალებების რაოდენობა კლასებში მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მკვეთრად

გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც მოხდება კომპლექსური დავალების ფარგლებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესის დროს სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები; მულტიდისციპლინალური გუნდის შეფასების ფორმაში ნათლად ჩანს,რომ სკოლას აქვს მცდელობა განათლება ხელმისაწვდომი გახადოს სსსმ მოსწავლისათვის,აღნიშნულს ამყარებს სსსმ მოსწავლის ხელახალი შეფასებისათვის პირადი ასისტენტის დანიშვნა. სკოლა, რომ სათანადო ყურადღებას აქცევს ინკლუზიურ მიდგომებს,ნათლად ჩანს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმში, რომლის დღის წესრიგია: „სოფელ ბადიაურის სკოლაში ინკლუზიური განათლების მონიტორინგის შედეგების განხილვა“ სკოლას წარმოდგენილი აქვს აგრეთვე ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობაა. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, „სკოლაში განხორციელდა კვლევა თუ რა გავლენას ახდენს განმავითარებელი შეფასება მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე, მოტივაციასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაზე. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მშობლებმა, მოსწავლეებმა და წარმოდგენილია ყველა კლასისთვის თითო თემაზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების პირობები შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით და შედეგების შეფასება კონკრეტულ დავალებაზე დაყრდნობით. რომელიც წარმოდგენას ქმნის, საფეხურის შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, კერძოდ: შესასვლელი და გასასვლელი ბარათები,ურთიერთშეფასების რუბრიკა,მოსწავლეთა თვიშეფასება, 3,2,1 სტრატეგია. სკოლას წარმოდგენილი არ აქვს კონკრტული თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ვერსიები, რომლებიც ,ახალი სკოლის მოდელის“ ქოუჩინგის დროს მიღებული გამოცდილების საფუძველზე შექმნეს. თვითშეფასების ფორმაში სკოლა წერს: მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს: სასწავლო წლის დასასრულს გააკეთეს მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი და ცვლილებები შეაქვთ ახალშემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში. ახდენენ თემების განხილვას, იზიარებენ წინარე გამოცდილებას, აანალიზებენ რომელი აქტივობა იმუშავებს კარგად და რომელი არა. თითო თემა რამდენიმე საკითხს მოიცავს, ამიტომ

მასწავლებლებს სურთ მოსწავლეთა ინტერესებიც გაითვალისწინონ და იმ საკითხებზე განახორციელონ კომპლექსური დავალება, რომლებითაც უფრო მეტად დაინტერესდებიან მოსწავლეები. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და გამოცდილება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საგნობრივი კურიკულუმები.
სკოლის თვითშეფასების ფორმა.
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
დანართი N17 ბრძანება ი.ს.გ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
დნართი N34 მულტიდისციპლინური გუნდის შეფსების ფორმა
დანართი N35 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის სხდომის ოქმი
დანართი N 49 (მკითხველთა წრის გეგმა)
 დანართი N 50 (დიფერენცირებული კომპლექსური დავალება)
დანართი N 51 (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები)
დანართი N 45 პროექტი ,,შემაფასე ობიექტურად ,რომ ვიცხოვრო ღირსეულად“
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მასწავლებლებს შერჩეული აქვთ ყველა კლასისათვის კომპლექსური დავალებები, რომელიც მათ აძლევს შემოქმედებითი სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს არაფორმალური განათლების და მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიურობას. ასევე, კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალების იძლევა ამის საშუალებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნის გააქტიურების საფუძველზე. იგივე მტკიცდება კურიკულუმის ჩარჩოს საკითხებიდან და ქვესაკითხებიდან. კათედრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტის არსი და დანიშნულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლების მას აძლევს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას. სასკოლო კურიკულუმებში აგების პრინციპი მოცემულია თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის.კურიკულუმში დამუშავებული თემების და კომპლექსური ბუნების დავალებების ერთობლიობა მოსწავლისათვის იძლევა საშუალებას, გადაჭრას ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას პრობლემა მეცნიერული მისადაგებით და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.შერჩეული კომპლექსური დავალებების სწორად განხორციელების შედეგად სკოლა ახერხებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სკოლა ავლენს მზაობას, ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა მიმართოს და კომპლექსური დავალებების პროდუქტი აქციოს სასკოლო რესურსად(ანუ, სხვა მოსწავლეების მიერაც იქნას გამოყენებული).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.თვითშეფასების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამ მიმართულებით საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 40 (ინტეგრირებული გაკვეთილი);
სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმა
საგნობრივი კურიკულუმები
სკოლა თვითშეფასების ფორმა
დანართი N 53 (ასოციაციური სქემები)
დანართი N70 (ინტეგრირებული გაკვეთილი)
კომპლექსური დავალების ბარათები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საგნობრივი სტანდარტების გათვალიწინებით, რაც თავის მხრივ გულისხმობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. წარმოდგენილი შუალედური მიზნები იმგვარად არის შერჩეული, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და ქვეცნება. აგრეთვე, სასწავლო წლის განმავლობაში შემოთავაზებული თემები და ქვესაკითხები ეხმარება მოსწავლეს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მეტწილად მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წარმოდგენილი კურიკულუმები და მათში შემავალი შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები) მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლებს განუვითაროს ფუნქციური კომპონენტური უნარი, რომელიც თავის მხრივ ეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.წარმოდგენილ რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა მეტწილად ორიენტირებულია ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სრულად ვერ შეესაბამება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილ სტანდარტს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები განზოგადებულია და შესაძლებელია მოერგოს ნებისმიერ დავალებას/აქტივობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება ვალიდურია, ობიექტური და სამართლიანი. განმავითარებელი შეფასების დროს ეყრდნობიან თემის, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აქცენტს აკეთებენ გრძელვადიან მიზნებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.წარმოდგენილ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით(სასკოლო გეგმა თავისი დანართებით, შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა ნაშრომები-შეფასებული ერთდროულად როგორც განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გამოყენებით) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში ცდილობს, შექმნას გარკვეული კონტურები ვერიფიკაციისათვის, თუმცა ერთიანი, ჩამოყალიბებული დოკუმენტი სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 01.09.2023-14.09.2023), რის თანახმადაც სკოლას უკვე აქვს ვერიფიკაციის მექანიზმის შემცველი/ამსახველი დოკუმენტი.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას ელექრონული ჟურნალის საშუალებით. ვიზიტისას მატერიალური სახით წარმოდგენილი იყო 2022-23 სასწავლო წლის მონაცემები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები.

თვითშეფასების ფორმა.

შეფასების რუბრიკები

დანართი N 38 (შეფასების რუბრიკები)

დანართი N 42 (პროექტი - ,,შემაფასე ობიექტურად'')

სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 18 სექტემბრის N2-58 ბრძანება ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4,უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულება სასკოლო საზოგადოებისთვის ქმნის მიმღებლობით და თანამშრომლობით გარემოს. ხელ უწყობს და ქმნის მამოტივირებელ გარემოს ნებისმიერი მოსწავლისთვის. გეგმავენ არაქართულენოვან სკოლებთან აქტიურ თანამშრომლობას, ყველა მოსწავლის დახმარებას შუალედური მიზნების დაძლევაში, მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება თანამშრომლურ გარემოში, სკოლის სასწავლო გეგმის, თუ მისისისა და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ხდება, რაც სკოლაში სასწავლო პროცესში მიმღებლობით და მხარდამჭერ გარემოს ადასტურებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.დაწესებულება მისიის, ხედვის, სტრატეგიული შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან განსაზღვრავს სკოლის განვითარების მიმართულებებს, რაც გულისხმობს მოსწავლეთა საჭიროებების მხარდაჭერას და განვითარებას, სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვას და მხარდაჭერას, უსაფრთხო გარემოზე ზრუნვას, ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების განახლებას და შევსებას, ყველაფერი ეს გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას გააზრებული აქვს, რომ სკოლის წინსვლისთვის თანამშრომლობითი გარემო, გამოცდილების გაზიარება, წარმატებების განსაზღვრა, რომელიც მუდმივად ხდება კათედრის სხდომებსა თუ სამუშაო შეხვედრებზე, ეფუძნება კომუნიკაციასა და კუტურას. მისიის , ხედვის. სტრატეგიული გეგმის შექმნის სამუშაო ჯგუფი გამოყოფს სკოლის მისაღწევ მიზნებს, რომელიც სკოლის მმართველ გუნდთან ერთად სკოლის ეფექტურ მართვასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის განვითარებაზე ზრუნვა პოზიტიურ კლიმატს განაპირობებს სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლის ინტერვიურების შედეგებიდან დგინდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მიღებულია და წახალისებულია მათი ინიციატივა, იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. რაც საფუძველია იმისა, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი კლასისა და სკოლის დონეზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

სკოლის სასწავლო გეგმა
მისიის, ხედვის, სტრატეგიული შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის თვითშეფასების განაცხადიდან ვიგებთ, რომ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები მონიტორინგს უწევენ სასწავლო პროცესს, თუ რამდენად სწორად და მიზანმიმიმართულად ხორციელდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებები. ამ მიზნით იყენებენ წინასწარ შემუშავებულ დაკვირვების ფორმას. შეფასების ინდიკატორები შეესაბამება ესგ-ს სტანდარტს და არის გამჭვირვალე. საგნობრივი კათედრის შეხვედრებზე აანალიზებენ შეგროვებულ ინფორმაციას, აკეთებენ რეფლექსიას. სასკოლო საზოგადოების წევრებს უზიარებენ: დირექციას - ანგარიშის სახით; მშობლებსა და მოსწავლეებს - ინდივიდუალურ შეხვედრებზე. თუმცა, სკოლას არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები.
მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ კათედრის სხდომებზე აანალიზებენ მონიტორინგის შედეგებს. მომავალში იგეგმება მონიტორინგის შედეგების დოკუმენტალურად წარმოება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. რა საშუალებებით ახერხებს სკოლა იმის შესწავლას, თუ რამდენად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და რამდენად გადის დაგეგმილი პროცესები შედეგებზე, რა ფორმით ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას ყოველდღიურ რეჟიმში, ეს კითხვები სკოლას ნათლად არ წარმოუდგენია, თუმც, აღნიშნავს, რომ დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია კათედრებთან ერთად ხელს უწყობს იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას.
მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ მიმდინარე პროცესების მონიტორინგსა და შეფასებაში მათ სრულყოფა სჭირდებათ. ბოლო წლების განმავლობაში, პანდემიის პრობლემების გამო, რამდენადმე იყო წყვეტა, მაგრამ ამ ეტაპზე ისინი ცდილობენ, სიტუაცია ამ მხრივ გააუმჯობესონ. სკოლაში მასწავლებლები კათედრების მიხედვით, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარეს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას. სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლა გეგმავს, რომ შემუშავდება მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილების შეფასების ინსტრუმენტების განახლებული ფორმები, რომლებიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
სამომავლოდ გეგმავენ მონიტორინგის კუთხით კიდევ უფრო გააუმჯობესონ მიდგომები ამ საკითხისადმი, გაითვალისწინონ სხვა სკოლების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.პედაგოგთა თქმით, თვიშეფასება და თვითრეფლექსია დაედება საფუძვლად ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენას. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტი. კურიკულუმების შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენასა და მხარდაჭერას. მათი გათვალისწინებით შეიძლება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად კურიკულუმში ცვლილებების შეტანა, კომპლექსური დავალებების მორგება კლასის ან კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების განაცხადი
საშუალო საფეხურის კურიკულუმი
დანართი N43 (ეტალონის დიპლომი მასწავლებელს)
წლიური სამოქმედო გეგმა
სკოლის მისიის, ხედვის და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
დანართი N44 (შემაჯამებელი დავალები ანალიზის ფორმები)
საშუალო საფეხურის კურიკულუმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

1. სკოლას კორიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია წარმოდგენილი აქვს პროექტის სახით. აღნიშნულ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის

პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). მასწავლებლებმა მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებიც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს.

აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებას სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავს.

მიმდინარე ეტაპზე მონიტორინგი სპონტანურად მიმდინარეობას და ძირითადად ეფუძნება საგნობრივი კათედრების ანგარიშს, პედაგოგები ერთმანეთს სისტემატიურად უზიარებენ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებიდან მიღებულ გამოცდილებას და ერთად გეგმავენ ინტერვენციებს კურიკულუმის გასაუმჯობესებლად. ასევე სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომლიც პროფესიული აქტივობების მონიტორინგის შედეგად გასცემს განმავითარებელ უკუკავშირს.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ, სკოლაში მონიტორინგი მექანიზმი დაიხვეწება და კურიკულულმის შექმნისა და დანერგვის ციკლურ პროცესში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში არსებული მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რასაც ადასტურებს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლის ანალიზი და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმდინარებს შემუშავებული დებულების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მხარდამჭერი ჯგუფი უშუალოდ აკვირდება თითოეულ მასწავლებელს, აძლევს კონსტრუქციულ უკუკავშირს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, პროფესიული განვითარების მიზნით გადიან შესაბამის ტრენინგ-მოდულებს. კოლეგები დახმარებას უწევენ ერთმანეთს, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ პრაქტიკასა და გამოცდილებას. სკოლას კარგი გამოცდილება აქვს ურთიერთთანადგომის და თანამშრომლობის. გაკვეთილებზე თანადასწრების უკუკავშირის, რეფლექსიის, სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე იგეგმება კურიკულუმის რევიზია. ეს დასტურდება კათედრის წევრებთან ინტერვიუთი დროს და რეფლექსიის ამსახველი დოკუმენტაციით. ამას ასევე მოწმობს ინგლისური ენის მასწავლებლის მიერ სკოლის საჭიროებაზე ჩატარებული კვლევა, რომლის ჩატარებ გახდა საჭირო, მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მიზნით. მიღებული შედეგები კი გათვალისწინებული იქნა მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის გამოიყენება. პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასა და მასწავლებლის პედაგოგიკური საჭიეროების დადგენას მოახდენენ თემატური მატრიცისა და პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტზე დაფუძნებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.თუმცა ამ ეტაპზე სკოლაში აღნიშნულ პროცესებს სისტემური ხასიათი არ აქვს. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი, სადაც ასახულია, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იქნება ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული იქნება ცვლილებების სახით. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავს კურიკულუმის შემუშვების მეთოდოლოგიის დამტკიცებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (პროექტი);
- შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში
- შეფასების რუბრიკები,
- შეფასების რუბრიკები
- დიაგნოსტირებისთვის შერჩეული ინსტრუმენტი

სასკოლო -სასწავლო გეგმა

საგნობრივი კურიკულუმები

სკოლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ნაკლებად აქვს გამოცდილება კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემების შეგროვების და დამუშავების, თუმცა არსებული გამოცდილების და ქოუჩინგის პროცესში გაცნობილი ინსტრუმენტების გამოყენებით, მასწავლებლებმა გამოხატეს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის მზაობა. სკოლაში ჩატარდა სასკოლო კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის ქოუჩინგი, რომლის მიზანი იყო 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის შექმნა, შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა და შერჩევა, სადიაგნოსტიკო შეფასების შერჩევა სკოლის დონეზე. სკოლა ასევე ჩართული იყო „ახალი სკოლის მოდელში“, მას გარკვეულ წილად აქვს მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კურიკულუმი მოითხოვს ყოველწლიურად გადასინჯვას და რევიზიას და საგნობრივ კურიკულუმში აისახოს წლის მანძილზე მიღებული გამოცდილება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასევე არის 2022- 2023 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმი. მხარდაჭერ ჯგუფთან ერთად მიმდინარეობს კურიკულუმების გადასინჯვა-განახლება, თუმცა კურიკულუმზე მუშაობა გაგრძელდება 2023-24 სასწავლო წლის დაწყებამდე.

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი, რომლის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. ანალიზის შედეგების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;

აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებას სკოლას უახლოეს მომავალში გეგმავს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკლუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას. მასწავლებლები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ წლევანდელი სასკოლო კურიკულუმი შარშანდელთან შედარებით უფრო გამართული დოკუმენტია, რის გამოცდილებაც ქოუჩინგის პროცესში შეიძინეს და სასწავლო წლის დაწყებამდე სრულ შესაბამისობაში მოიყვანენ მოთხოვნებთან კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის და პედაგოგთა ინტერვიუს მიხედვით, კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას, ამაზე მეტყველებს სკოლაში ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. ამჟამად, 2023-24 სასწავლო წლისთვის სკოლას გადაწყვეტილი აქვს გამოიყენოს შეფასების მეორე მოდელი რომლის ფარგლებშიც მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ წინა წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება ასახულია 2023-2024 წლის კურიკულუმში . ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.
სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დააფუძნოს წინარე გამოცდილებას , რომლეშიც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
შეფასების რუბრიკები
საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ტარიელ სივსივაძე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:



1.ირმა ტატიშვილი, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

2.ქეთევან სადრაძე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი

3.შორენა ტყემალაძე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი

4.მარიამ მატიაშვილი-უცხო ენათა საგნობრივი ექსპერტი

5.ლია ციცქიშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6.ხათუნა მარკოზაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

7.ნიკოლოზ ჩუბინიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

8.ნონა გორგილაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

9.ლია ნეფარიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

10.მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი



29.09.2023წ.
თარიღი